

832
1974



სოც.-დემ. პარტიის საზღვაო-გარეთის ბიუროსი.

Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

ჩვენი

დროშა

“NOTRE DRAPEAU”

დაასახულია ნოვ შოთანიას მიერ.

№ 81

შინაბრძი:

ეროვნული მოძრაობის გზები.	პ. სარჯველაძე.
ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების 20 წლისთავზე	
ქრისტინე ფალავას სიტყვა.	
ბრძოლა თავისუფლებისათვის	ა. ბადრიძე.
მცირე ერების პოლიტ. პოტენციალი.	გ. ნანუაშვილი.
წერილები გერმანიიდან.	კ. ინასარიძე.
ევროპის გასაჭირო.	გ. სინაურიძე.
დამოუკიდებელი სახელმწიფო გრენადა	დ. ურატაძე
შევარდნაძის წყალობა	პლატონ ლეჭავა.
ქრისტიანი, ნეკროლოგები და სხვა.	

ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის გზები და საშვალებები მრავალშინაარსიანია. უდავოა, უმთავრეს ძალას წარმოადგენს საკუთარი, ეროვნული ქალები და ერის შინაური სოციალ-პოლიტიკური პირობები, რომელიც დროთა ცვალებადობაში ვითარდებიან, იცვლებიან. ამხრივ, ჩაც მაღალია და მძლავრია ერის კულტურულ-პოლიტიკური ამაღლების დონე, ამდენად იგი შეკავშირებულია სულიერად და ორგანიზაციულად, იმდენად უფრო ადრე აღწევს თავის მიზანს, აზორციელებს თავის იდეალს: იყვეს თავისუფალი წაკითხალურად და პოლიტიკურად, მოაწყოს საკუთარი ცხოვრება ისე როგორც მას სურს, როგორც მის არსებობას უზრუნველყოფს.

ერი/რომელიც არ მოქმედობს, არ მოითხოვს, ამა თუ მას სახით არ აქვთ არავებს მისწრაფებას თავისუფლებისთვის, მას არავინ ანგარიშს არ უწევს. წინამდევ წემთხევები, მის მოთხოვნილებას, ბრძოლას, ყურადღებით აღევნებს თვალყურს მტერი თუ მოყვარე.

მტერი ხშირად, იძულებულია დათმობაზე წაციდეს, მოყვარები პპოებს ის გამოძახილს, თანაგრძნობას და შეძლების ფარგლებში მხარის დაჭრას, რადგან მრავალი ისტორიული მაგალითები გვიჩვენებენ; ერი რომ განთავისუფლდეს სხეისი ჩაგრისაგან მარტო შინაურია ძალები არ კმარა. მით უმეტეს, დღევანდელ ხანაში. როცა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები, ინტერესები მეტად დახლართულია, ერთი მეორეზე გადამბულია, როდესაც ადგილობრივი საკითხი ერთი როგოლია — საერთაშორისო პოლიტიკისა, ასეთ ვითარებაში კითხვას სწყვეტს, არა მარტო შინაური ძალები, შინაური ძალთა განწყობილება, (ჩაც, ჩასაკვირველია, პირველი პირობაა), არამედ საერთაშორისოც...

მაგალითად, პოლონეთმა თავისუფლება პილოვა მხოლოდ მაშინ, როცა საერთაშორისო მდგომარეობა მის სასარგებლოდ შეიცვალა. ჩეხი პატრიოტები ვერ ელირსებოდნენ დამოუკიდებლობას, რომ მაშინდელი ე.წ. ანტანტა მათ არ დახმარებოდა. ბალკანეთის ერები



ვერ განთავისუფლდებოდნენ ისმალეთის ბატონობისა-
 გან, რომ ევროპა არ ყოფილიყო ისმალეთის წინააღმ-
 დეგ. მაშასადამე, ამ ერთა განთავისუფლებას ხელი შეუწ-
 ყვეს საერთაშორისო ინტერესთა ერთი მეორესთან და-
 პირისპირებამ და შეჯახებამ. არ შეიძლება ითქვას, რო-
 მელი ფაქტორი თამაშობდა გადამწყვეტ როლს ამ ერე-
 ბის განთავისუფლებაში. პოლონეთი თვითონ რომ არ
 ყოფილიყო დარაზმული, ეროვნული სულით ძლიერი
 და თავისუფლების მოპოების სურვილით აღვილი, მარტო საგარეო ფაქტორი მას, თავისუფლებას არ დაუ-
 შკვიდრებდა.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყენოთ, რომ ეროვ-
 ნული განმათავისუფლებელი პოლიტიკის მთავარი ძარ-
 ლვი ისაზღვრება, მუშავდება და მოძრაობაში მოდის
 საერთაშორისო და შინაური პირობების სწორი შეფასე-
 ბით.

ისტორიამ იცის აგრეთვე არა ერთი მაგალითი, როცა
 მპყრობელი სახელმწიფო, შინაურ წინააღმდევაბათა
 ნიადაგზე ინგრევა, ჩაგრული ერები თავს აღწევნ და
 თავისუფლდებიან. აქაც თავის მნიშვნელობას არ კარგავს
 საერთოშორისო ფაქტორი, მოპოებული თავისუფლების
 შემდგომ განმტკიცებისთვის.

ისმის საკითხი, როგორი ხასიათის ბრძოლას აწარ-
 მოებს ერთი, რომლის მოძრაობას, ხელს არ უწყობს საერ-
 თაშორისო პირობები, საკუთარი ძალით კი განთავისუფ-
 ლება არ შეუძლია? ასეთ შემთხვევაში, ის იმუშავებს
 ბრძოლის ტაქტიკას, რომელიც საესებით იფარებება
 იმ სახელმწიფოს საზღვრებით, რომელშიც მას უწევს
 დროებით არსებობა. ეროვნულ განმათავისუფლებელი
 ბრძოლა, გაცილებით რთულია, მრავალ სიძნელეებით
 დატევირთული, ვინემ კლასსიური... ბევრის მთქმელია
 და დამახასიათებელი იტალიის გმირის გარიბალდის სიტ-
 ყვა, გერუნს რომ უთხრა: „პოლონელ რევოლუციო-
 ნერ პატრიოტების ბრძოლას აღტაცებაში მოკავარ,
 მაგრამ მიკვირს, თუ როგორ შებედეს მათ, გარეშე და-
 უქმარებლად, უიარალოდ, საზღვარგაუხსნელად, ასეთი
 დიდი იმპერიის წინააღმდეგ შებრძოლება და ასევე დიდ-
 ხანს წინააღმდეგობის გაწევა.“ დამარცხდა აჯანცებაში
 პოლონეთი, მისთვის დადგა იძულებითი შესვენების,

წაწოლისთვის კომპრომისის ხანა, და ეს გაგრძელდა მსოფლიო ომის დაწყებამდე, მაგრამ ერთს გულში არ ჩამოარალა იმედი და რწმენა, დამოუკიდებლობის აღსაღ-
გენადე არ შენელებულა პასიური გამკლავება ეროვნულ
სახეობის და ეროვნული სულისკვეთების შესანსრჩუ-
ნებლად...

ზემოდასახელებულ ერთა განთავისუფლების ჩარჩოებ-
ში, — შეიძლება ჩაყენებულ იქმნეს საქართველოს მიმ-
დინარე ეროვნული ტრადიცია, მისი განთავისუფლების
პერსპექტივები?

რამდენიმედ, მაგრამ საქსებით არა.

ზემოდასახელებულ ერთა და ჩვენი ქვეყნის გეოპო-
ლიტიკური ვითარება რადიკალურად განსხვავდება,
რომელსაც თან ერთვის, კბილებამდე შეიარაღებული,
რეპრესიული დიქტატურის პირისპირ მოქმედება... ეს
ორი ფაქტორი რამდენიმედ განსაზღვრავენ აღგილობ-
რივად ეროვნულ მოძრაობის ხასიათს.

საქართველო ცნობილი რუსეთის მიერ, დაპყრობილი
იქნა მისივე იარალით. დროთა სიხანგრძლივე სტო-
რიულ მოროგებას ვერ მოხსნის, და ეს ოკუპაცია უნ-
და იქნას მოხსნილი დღევანდელ თუ, მომავალ რუსეთის
ხელისუფლების მიერ. რომელიც წარმოიშობა დიქტა-
ტურის ნანგრევებზე. . .

საბჭოთა კალმოსნები ბრაზდებიან და გვიტევენ,
სიტყვა „ოკუპაცია“ მათ ანერვეულებთ, სად არის რუ-
სის ჯარებით. შეიძლება რუსის ჯარისკაცი ყოველ წუთს
თვალში არ ეჩირება ქართველს, რუსთაველის კაშირ-
ზე, მაგრამ განა ეს სცვლის საქმის ეითარებას? შეიძლე-
ბა ხალხის ასე გაბრიყვება? ვინ არ იცის, რომ რუსის
ჯარებით გარშემორტყმულია მთელი კავკასია და
კერძოდ ჩვენი ქვეყანა, განა მის საზღვრებს სდარაჯობს
ნაციონალური ერთეულები, რომლებიც არ არსებობენ?
განა მოსკოვის თვალი არაა, რომ ყველა ჩვენს საზო-
გადოებრივ-ეკონომიკურ პოლიტიკურ ცხოვრებას თვალ-
ყურს ადევნებს? განა, მოსკოვში არ მუშავდება ჩვენი
ქვეყნისთვის ეკონომიკური გეგმა? გადაიკითხეთ ქარ-
თულ „კომუნისტი“-ის (33 — 74 წ.) სადაც სიტყვა-
სიტყვით სწერია: „ამ დღეებში ს. ს. კ. 3. ცენტრალურმა
კომიტეტმა და საკავშირო მინისტრთა საბჭომ, ძრეუ-

ნევის ინიციატივით მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისადაცის, ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს ს. ს. ჩ. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

როცა მთელი ჩვენი ეროვნული ცხოვრება, ფაქტიურად, მოსკოვის კონტროლის ქვეშ იმყოფება, როცა უცხო სახელმწიფო მის სასიცოცხლო ინტერესებს დაპატრიონებია — რა დავარჩვად ამას თუ არა ოკუპაცია?.. ან რაში გამოიხატება მისი სუვერენობა, რომელიც მას 26 მაისმა მიანიჭა?

ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის ტაქტიკა, პოლიტიკური სტრატეგია შეიძლება შეიცვალოს დროთა გარემოების გამო, არ იცვლება მხოლოდ ერთი ძირითადი მიზანი, ურყევი, გარდაუვალი:

მოპოება დამოუკიდებლობის, დაბრუნება მოტაცებულ თავისუფლების. ამხრივ, ქართველ ხალხის მისწართვება ისტორიულად მოცემულია: მისი წარსული ეროვნულ სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ - კულტურული სიმწიფითა და თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლების გამოვლინებით...

ჩვენი ახლო წარსულის და, მცყრობელ ერის დღევანდელ მდგომარეობის ანალიზს ჩვენ მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ქართველი მებრძოლი ძალებისავან, — 26 მაისამდის არსებული ეროვნული პოლიტიკა არ უნდა იქნას განმეორებული, რას ნიშნავს ეს?

50 წლის მანძილზე, რუსეთის ანტიკომუნისტურ ფრონტზე არ აღმოჩნდა მიმართულება, რომელიც უდავოდ აღიარებდა ერების განთავისუფლებას, გარდა თითო-ოროლა პიროვნებისა, რომელიც კითხვეს არ სწუყეტს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დიდის სიმპატიით, მორალური მხარის დაჭრით, მრ უნდა ვეპყრობოდეთ საბჭოთა რუსეთში დაწყებულ, ინტელექტუალურ ძალების პროცესტანტულ მოძრაობას, რომელიც უსათუოდ გადადის მასსაში და ფართოვდება. ეს პროცესი ძირის უთხრის იმპერიის შენობას და მიჰყავს დაშლისაკენ. მით აახლოვებს ერების განთავისუფლებას...

ჩვენი მკითხველი ადვილად გაიგებს, რომ ჩვენ აქ ვიმეორებთ ჩვენი მებრძოლი პრეზიდენტის ნ. უოჩუანის

რჩევებს: „ერმა უნდა შეინახოს თავისი ნაციონალური სულისკვეთება და ნებისყოფის სიმაგრე.

არ იცნოს მისი დღევანდელი ეკონომიკურ - პოლიტიკური წყობა.

ის დღეს ცხოვრობს უცხო ძალების ქვეშ, მაგრამ სულიერად უნდა გაეთიშოს მას; თავისუფალ დამოუკიდებელ დროშის ქვეშ დადგეს.

არსებულს დაუპირდაპიროს მუდამ დამოუკიდებელ საქართველოს მიერ მიღებული, ეროვნული სოციალური ფუძე; რაც შეიძლება მეტი უფლება ხალხს, ნაკლები უფლება სახელმწიფოს და მის ავენტებს.

ბრძოლა ამ ნიადაგზე, ამ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად შეინახავს ქართველი ერის ძველ სულიერ სიმაგრეს.“

ნოვ ეორდანია ყველა თავის უკანასკნელ მიმართვაში, ქართველ ერს ურჩევდა სიჯრთხილეს და სიჯხიზლეს.

ჩვენ ვკონტა ზევითურომ ეროვნულ მოძრაობას ახასიათებს ორი ფაქტორი, შინაური და საგარეო განწყობილება. მაშასადამე მას აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ისტორიამ უკანასკნელის გატარება დააკისრა უცხოეთში გადმოხვეწილოთ, სამშობლოს შეილებს, ომმლებსაც ნახევარი საუკუნეზე მეტია ღირსეული უჭირავთ 26 მაისის დროშა და იცავენ საქართველოს უფლებებს; მის რიგებიდან წაფორხილება და კომპრომისი—ღალატს უდრის...

დრო მუშაობს საბჭოთა დიქტატურის კლანულებში ჩაჭედილ მცირე ერების განთავისუფლებისათვეს.

რასაკირველია, ძალადობით შეკოწიწებული იმპერია, რეპრესიული ზომებით, ხალხის ნაშრომიდან მხედრულად გაძლიერებული ერთხონის იბოვინებს. პაგრამ, კრემლმა უკეთ უწყის, დესპოტიასა და ტირანებს არა ღროს ჰქონიათ მომავალი. საბჭოთა წყობილებაც ისე დაემხობა, როგორც დაემხვენ მათი წინაპრები.

გვრწამდეს რომ ქართველი ერი კვლავ დაიბრუნებს 26 მაისის დროშას.

3. სარჯველაძე.

ეპიზოდი გეგეჭკორის

გარდაცვალების 20 წლისთავზე.

ოცი წელი სრულდება, რაც გაგვშორდა დიდი აღამიანი — ქართველი ერის უფლებების მედგარი დამცველი. ერის მემატიანე მას მეგონებს, როგორც დიდ ქართველს, ჩვენი ქვეყნის დიდ სახელმწიფო მოღვაწეს.

გარდაცვალების ოცი წლისთავზე, არ შეგვიძლია არ გავიხსნოთ ევგენი გეგეჭკორის, ჯერ კიდევ ახალგაზრდის, გაბედული გამოსვლები სახელმწიფო სამათბიროში; მრისხანებით აღსასე იმ რეეიმის წინააღმდეგ რუსეთში იმ დროს რომ არსებობდა. მას დაძაბული ყურადღებით ისმენდა, როგორც მტერი, ისე მოყვარე.

1917 წლის დიდი რევოლუციის ხანაში იგი უდადეს საპასუხმებლო თანამდებობაზე იქნა მიწვეული. ეს იყო, შთელი ამიერკავკასიის მასტრუბით, მთავრობის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი. ამ დროს გაბოლშევიკებული ჯარები, რომლებიც ჯერ კიდევ კავკასიაში იმუშავებოდნენ, დარბევას უპირებდნენ ჩვენს ქვეყანას. უდიდესი სამსახური გაუწია ევ. გეგეჭკორმა თავის გამბედაობით, ტაქტით და გამჭრიახობით...

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, იგი ხომლისეულად იდგა თავის პოსტზე, როგორც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მრავალ მის დადებითი დამახასიათებელ პირად თვისებათა შორის ის გამოიჩინა დიპლომატის თვისებებით, სინაზე, თავაზიანობა სხვებთან დამკიდებულებაში, მტრის მტრულად შეხვედრა და მოყვარის მოყვრულად შიღება.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, დამუშავებელი კრების დადენილებით, საქართველოს მთავრობა საზღვარ-გარედ იგზავნება; — საბჭოთა რუსეთის ვერაგულ, მოლალატურ მოქმედების სამხილებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის სამუშაოდ.

მას ცნობდნენ არარუსი ემიგრაციის წარმომადგენელნი, ენდობოდენ მის პოლიტიკურ გამოცდილებას, უშარსა და გამჭრიახობას, მის ტაქტსა და მოპყრობას.

ფინლიანდელ ერისადმი მისი გამოქომაგებით, მისი უფლების ნიჭიერად და მცქრმეტყველურად დაცით

ევგენი გეგეტკორმა დიდად გაითქვა სახელი და მას შემ-
დეგ რუსეთის იმპერიაში ძალით მოწყვდეულ ერთა
დამცველის როლში, უცხოეთში — ამ ერთა შორის მო-
იპოვა განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთი დიდი
ხელმძღვანელის სახელი.

33 წლის განმავლობაში საზღვარ გარედა, ე. გეგეტკორ-
მა პირნათლად მოანდომა, თავისი პოლიტიკური მოღ-
ვაწეობა ქართველი ერის უფლების დაცვის. მან ჩამოარა
მთელი რიგი უცხო სახელმწიფოების, უცელგან ქართვე-
ლი ერის თავისუფლების და დამრუკიდებლობის ოდ-
გენას მოითხოვდა.

ევგენი იყო ადამიანი, კაცომოყვარეობით, ნაზი და
თბილი გრძნებით აღსასე; მოკეთის ტკივილების და
მწუხარების გამზიარებელი. ის განიცდიდა შებრალებას,
შეცოდებას და ქართველთა საშველად ეშურებოდა. მას
მიმართავდნენ ყოფა-ცხოვრებით გამოწვეულ გაუგებ-
რობის მოსაგვარებლად, შინაურ—ოჯახურ დაბრკო-
ლებათა დასაძლევად, მეგობართა შორის უთანხმოების
გასაფანტავად.

ევგენი იშვიათი დაკვირვებით ხედავდა, რომ სამშობ-
ლოს თბილ სხივებს მოკლებული ქართველის გული
მგრძნობიერია, მისი გონება მიტოვებული მიწა-წყლის
მოვინებით შეპყრობილია, ამიტომც იგი მუდამ ბედის
მომღურავია, მას სჭირდება გამხნევება, სულიერი სიმ-
ტკიცის შენარჩუნება. ის თავის მოვალეობად სთვლიდა
გაჭირვებულთან თუ დაავადებულთან მისელას, სანუ-
გეშო სიტყვის თქმას, წახალისებას.

ასეთ იშვიათი კეთილი გულის აღამიანზე ნათქვამია
დიდი შოთას სიტყვები:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰქიდიან

უგულო კაცი ვერ კაცობს კაცთაგან განაკიდან“.

ევგენი გეგეტკორის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღ-
ვაწეობის სრული დაფასება მომავლის საქმეა. მისი სა-
ხელი მჭიდროდ დაკავშირებულია ნახევარ საუკუნის
მანძილზე რუსეთ-კავკასიის და საქართველოში მომხდარ
ისტორიულ მოვლენებთან, რომელთა გაშუქება პას მი-
ანიჭებს ერთ დიდ ხელმძღვანელის როლს, რომელმაც
ლირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა.

ხანგრძლივ მოღვაწეობის გზაზე საქართველოს სახელსა და ლიტერატურის სასოფტით ატარებდა. მის უფლებას მხნედ იცავდა და დარაჯობდა. საკუთარი ქვეყნის სიყვარული მან ჩაიტანა უცხოეთის მიწაში, მაგრამ მისი საყვარელი სამშობლო მას არასოდეს არ დაიციწყებს.



ს ი ტ ჟ ვ ა

წარმოთქმული ქრისტინე ფალავას მიერ ნოე ფორდინიას
 გარდაცვალების ოცი წლისთავზე *)

ჩემი დღევანდელი სიტყვის მიზანია გელაპარაკოთ
 ნოე ფორდინიზე არა მარტო, როგორც საზოგადო მოღვაწეზე, არამედ, როგორც კერძო პიროვნებაზე, უდა-
 მიანზე. ყოვლად შეუძლებელია „კერძო“ დააშორო „სა-
 ზოგადოს“; გაპყო და გააცალკევო ეს ორი მხარე ნ. ფორ-
 დანიას პიროვნებისა, რადგან მთელი მისი არსება — სი-
 ცოცხლე შეთვისებულია, შერწყმულია საქართველოს
 იდეურ, პოლიტიკურ, სოციალურ აღორძინებასა და გან-
 ვითარებასთან, ე. ი. მთლიანად, მთელი უკანასკნელ სა-
 მოცი წლის საქართველოს ისტორიასთან.

მე შეეცდები. მოკლე ბიოგრაფიული ცნობე-
 ბის მოცემის შემდეგ, გავმუქმ სამი მხარე და მიმარ-
 თულება მისი პიროვნებისა: ნ. ფორდანიას კაუმაყვა-
 რეობა, ანუ ჰუმანიზმი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი.

მთავარი ბიოგრაფიული ცნობები: დაბადი 15 იანვარს
 (ახალი სტილით) 1868 წ. სოფ. ლანჩხუთში, გარდაცვა-
 ლა 11 იანვარს 1953 წ. ვანეში (პარიზის გარე უბაში).
 დასაფულავებულია ლევილის მმათა საათლაოზე.

თბილისის სასულიერო სემინარის მოწაფე 1884 წ.
 ვარშავის ვეტერინალური ინსტიტუტის სტუდენტი,
 1891 წელს. 1891 წ. სოციოლოგია, ნატურალური ექ-
 ნიერება, რუს და დასავლეთის სოციალისტური იდეობის
 გაცნობა — შენწაელა. — სოციალისტი, პატრიოტი.

*) მოსაგონარი სხდომის ანგარიში იხ. „ბრძ ხმა“ №3.

საქართველოს სოც-დემოკრატიულ შუშათა პარტიის დამფუძნებელი, 1893 წლის, თბილისის პირველი პარტიული კონფერენცია, მოგზაურობა ევროპაში შესწავლის მაჩვით: „შეეიცარია, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი — 1893 წ. „კვალი“-ს მთავარი ჩედაქტორი. საქს. დ. მ. პარტიის ორგანოსი, მისი თეორეთიკოსი და ბეჭდი. „მუშათა პარტია და არა პარტია მუშათა ცოდნაობის სასარგებლობა“. აქედან, როლი ინტელიგუენციის — „ხალხის დახმარება და არა მისი მართვა გამვეობა“ 1902 წ. აყენებს იდეას კავკასიის ერთა კონფედერაციისას. 1906 წ ელში პარტია მას ირჩევს დეპუტატათ და აგზავნის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, საღაც მას ირჩევენ სოც. დემოკ. პარტიის ფრაქციის ლილრად.

რუსეთი დამარტიდა პირველ მსოფლიო ომში, და სტოკებს კავკასიის ფრონტს. საქ. ს. დ. მუშათა პარტიის და ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიების დავალებით ნ. უორდანია, უდიდესი ზეიმით, 26 მაისს 1918 წელს, აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას და ამბობს: „ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ფორმათ თავისი მართველობისა ირჩევს დემოკრატიულ ჩესპუბლიკას“.

ეს არ არის ახალი სახელმწიფოს დაბადება, არამედ ესაა დაკარგული მეობის ალდეგნა. დამოუკიდებელი ჩესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურად და მთავრობის თვა-მჯობარედ ხდება ნ. უორდანია.

საქართველო თავისუფალი, ბეღნიერი, მთელი თავისი ენტუზიაზმით აშენებს ახლად შობილ თავის ქვეყანას.

— „მშობლიურ ნიადაგზე თავისუფლების აღორძინებამ ფრთხი შეასხა არა ერთს ეროვნულ ოცნებას, და საფუძველი შეუქმნა თანამედროვე ქართულ დიდ მეცნიერების სკოლას. ქართულ ეროვნულ განვითარების ეტაპზე წამყვანი ადგილი დაიკავა, სოციალური კიუისა და ჩევოლიციური ბრძოლის მოტივებმა, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის და შრომის ეთიკამ“. (პროფ. შ. ნუცუბიძეს სიტყვიდან).

1921 წელი. წელი საქართველოს დაპყრობისა საბჭოთა რუსეთის მიერ, და მისი გაუქმება, როგორც სუვერენული სახელმწიფოსი.

ნ. ეორდანია საქ. დამფუძნებელი კრების დავალებით
 სტოკებს სამშობლოს საზღვრებს, რათა განავრჩოს
 ბრძოლა უცხოეთში, დაკარგულ თავისუფლების აღსად-
 გენად

რა იყო ნ. ეორდანიას მოღვაწეობა უცხოეთში?
 უპირველეს ყოვლისა, მოკავშირეების გამონახვა, რომ-
 ლებიც მხარს დაუჭერდნენ დამოუკიდებელ საქართვე-
 ლოს აღდგენას. ეს მოკავშირეები მან, მხოლოდ, საცი-
 ლისტურ ინტერნაციონალში ჰქონდა. მან, გამოაქვეყნა
 წერილები, დასწერა შრომები საქართველოს დაპყრობის
 შესახებ, და აუწყა ეეროპას თუ რა განსხვავებაა რუს
 ბოლშევიკებთა და სოციალისტებს შორის.

ნოვ ეორდანიამ მთელი უურადლება, იმედი, და
 ბრძოლა გადიტანა თავისი დაპყრობილ სამშობლოში,
 რათა უკვდავშიკო სურვილი თავისუფლებისა, დაუკუ-
 ტიდებლობისა და გაუუბრული შეურიგებლობისა დამპ-
 ყრობთა წინააღმდეგ.

ნოვ ეორდანია არაა კარიერის მაძებარი პოლიტიკური
 მოღვაწე. ისაა უაღრესი კაცმოყფარე, — — ჰუმანისტი.
 ის სწერს: “ჩემთვის ყველა ადამიანში არის ღვთის ნაპერ-
 წევალი, სავირთა მისი აღმოჩენა, ან სურვილი მისი აღმო-
 ჩენისა. ადამიანს მე ვუცერი, მაშასადამე, წინამწირი
 თანაგრძნობით. მისი ავი მაწუხებს, — კარგი მახარებს,
 ამიტომ სრულიად მიუღებელია ჩემთვის მისი ჩაჭოლ-
 ვა, მისი დამცირება, წაქცევა. მიყვარს წაქცევა გლო-
 ხა აზრის, გლახა მიმართულების, არ მიყვარს წაქცევა
 აღამიანის. თუ ჩემი შვილები ასე იფიქრებენ, მათი მი-
 ზანიც ნათელი და მისაღებია; იცხოვრონ ისე, რომ მა-
 თი ცხოვრება არ იყვეს ვინმეს ტანჯვის და შეწუხების
 წყარო“ (მისი დაუბეჭდავი ხელნაწერიდან: „წიგნი
 ოჯახში საკითხავი“. მისი პირადი არქივიდან.)

ის იბრძვის, რომ ადამიანი იყოს თავისუფალი ჭოველ-
 გვარი მონობისაგან, მისი სურვილი იყო მიეცა ადამია-
 ნისთვის საშუალება მას ეს თავისუფლება მოეპოვებია
 და დაეცვა. და, აი ამ ჩრდენამ ის აზიარა ჩესპუბლიკა-
 ნიზეს, პატრიოტიზმს. აქედან მისი ისტორიულ ბრძოლის
 გამოხატვა და დავირგვინება დემოკრატიული, თავისუ-
 ფალი, სუვერენული საქართველოს აღდგენა.

„ხალხი არის სუვერენი მის პირად ცხოვრებაში, სუ-

კერძო მის კოლექტიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.“ (იხ. მისი „დემოკრატია“ ფრანგულ ეხაზე).

„ხალხის სუვერენობის სამაგალითო გაკვეთილა მოგვცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციამ; ხელისუფლებას დემ. საქართველოში იძლევა ხალხი, თანასწორ და პირდაპირი არჩევნებით, რომლის ნება-სურვილის გამომხატველია პარლამენტი, მაგრამ, საკვირველი ამბავი, — დემოკრატიულ საქართველოში პარლამენტი არ არის უმაღლესი ორგანო, მასზე მაღლა სდგას ხალხის ნება-სურვილი, რომელსაც ის გამოხატავს პირდაპირი რეფერენდუმის საშუალებით, თუ ამას მოითხოვს 20 პროცენტი ამჩენებლებისა. პარლამენტი ყოველთვის მომჩილია ხალხის გადაწყვეტილებისა.“ ამბობს ცნობილი მწერალი ვოიტინსკი. (იხ. ვოიტინსკის წიგნი გვ 196.)

6. უორდანია უარყოფს ყოველივე მას, რაც ეწიოდა: აღმდეგება ადამიანს, მის სუვერენობას, და იბრძვის ნამდვილ დემოკრატიის დასამყარებლად.

მისთვის ადამიანით ფასდება ყველაფერი, ცენტრალური ფიგურა დემოკრატიისა ისაა, ყოველივე ცხოვრების წყობა, ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს ადამიანს და მის მოთხოვნილებებს. მხოლოდ ადამიანი სწევეტს, აფასებს და აძლევს მიმართულებას ეველა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო ორგანოებს.

6. უორდანია წინააღმდეგია კველა იმ ანტიდემოკრატიული მიმართულებათა, რომელიც არ სცნობს ადამიანის ბუნებრივ უფლებებს და აცხადებს, რომ აუცილებელია ადამიანს ჰყავდეს პატრონი, მმართველი, მეფე, ფეოდალი, ერთი ან რამდენიმე რჩეული პიროვნებათ. (იხ. მისი წიგნი „დემოკრატია“ ფრანგულად).

რესპუბლიკანები, ის უარყოფს უზურპატონულ ხელისუფლებას მონარქიისას. სოციალისტი, ის ებრძვის იმ მოძრაობას და პარტიებს, რომლებიც ითვისებენ სახელს სოციალისტისას, და სინამდვილეში კი ეძებენ დომინაციას ხალხზე. ებრძვის 905 წ. თეზას ბოლშევკებისას: ხალხის გადარჩენა მაღლიდან; ერთი მუჭა პროგესიონალურ რევოლუციონერების მიერ, — მცნება უმრავლესობის გადარჩენა უმცირესობის მიერ, მას მიაჩინა ანტი-

დემოკრატიულად’ ეს იდეოლოგია ადამიანის განთავი-
 სუფლების სახელით, მას უქადის მონობას და მიუცეკართ
 დიქტატურისკენო. (იქვე).

რა მიზნით ემხრობა და იღებს ნ. უორდანია მარქ-
 სიზმს?

ნ. უორდანია ემხრობა მეცნიერულ სოციალიზმს იმი-
 ტომ, რომ მხოლოდ მარქსიზმი პატივს სცემს, და სცობს
 დემოკრატიულ პრინციპს, ისახავს ადამიანის სუვერე-
 ნობას, როგორც მიზანს, ადამიანია მსაჯული თავის თა-
 ვის, და არავის უფლება არა აქვს ძალით მოახვიოს მას
 რაიმე ხელისუფლება.

მარქსიზმის ლრმა შესწავლის და მისი ანალიზის შემდეგ
 ნ. უორდანია მიდის შემდეგ დასკვნამდე: საქ. სოც დემ.
 მუშათა პარტია უნდა დაეყრდნოს პროლეტარიატს მაგ-
 რამ განსხვავებით მარქსიზმან, იმავე დროს გლეხობას,
 და საშუალო კლასს, ე. ი. მთლიანად მთელ ერს, ცელ
 ხალხს. გლეხი, მუშა, საშუალო კლასი უნდა დაუახლოვ-
 დნენ ერთმანეთს და შეაერთონ მათი მიზანი და მოთხოვ
 ნილობები.

„ნ. უორდანიას მიერ ქართველ ხალხში გადმიანერ-
 ული მოძღვრება, ქართული სულითაა გაულინთიალი და
 უპასუხებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვ-
 ნილებებს. ნ. უორდანია, წინააღმდეგ თვით მარქსისა,
 პირველი იყენებს გლეხთა და საშუალო კლასის ნიშ-
 ვნელობას. სოც. პოლიტიკურ განმათავისუფლებელ
 ბრძოლაში ხალხისა და აქედან ქართველი ერის კეთილდ
 ღეობა. ნ. უორდანიას მეთაურობით სოც. დემოკრატია
 შეიქრა ერის ცხოვრების ყოველ დარგში, და გაითქვი-
 ფა ხალხში. მოუხმო ცხოვრებისაკენ შშრომელებს, და
 მისცა მათ ეროვნული და სოციალურ ბრძოლის გასაჩა-
 ლებლად სამი აუცილებელი ელემენტი: გარკვეული პროგ-
 რამა, სწორი ტაქტიკა და მტკიცე ორგანიზაცია, რაც
 მიიღო და გაიზიარა მთელმა ქართველმა ერმა.“ (სვ. გე-
 გეგმიორის სიტყვიდან, წარმოთქმული ნ. უ. დაბადებიდან
 80 წლისთავზე).

ნ. უორდანიამ ჩაპბერა ახალი სული მთელ ქართველ
 ერს და აამოძრავა ის. მისი გაცლენა იყო უდიდესი და
 სწორედ ამან ათქმევინა ვანდერველდეს: ნ. უორდანია

არის კუთხენილება მთლიანად ქართველი ერის. მისი პიროვნების ირგვლივ თავს იყრის მთელი ქართველი ერი და ამიტომაც 1919 წ. არჩევნებში მისმა პარტიამ მიღლო 85 პროცენტი მთელი ხმებისა, რადგან ერმა მასში დაინახა გულწრფელი დამცველი ხალხის ინტერესებისა.

თავისუფალი საქართველოს იდეია ძალიან აღრე დამკვიდრდა ნ. უორდანის გულში. 1893 წლის თბილისის პარტიულ კონფერენციაზე, მისი სოციალისტური იდეების დამახასიათებელი თვისება იყო იდეა ეროვნული თავისუფლების. მან უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის პოლიტიკურ, ეროვნულ — კულტურულ აღიარდინებაში, მოგვეცა 26 მაისი; ერი თავისუფალი, მთლიანი და განუყრელი.

მთელი ერი შემოიკრიბა მის ირგვლივ და დააჯილდოვა იმით, რომ ის აირჩია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მეთაურად.

პრეზიდენტი ნოე უორდანია; რევოლუციონერი, პიროვნება ტრადიციების, ერთგული თავისი ეთიკის, ერთგული მსახური და დამცველი თავისი ერის, — იქ საქართველოში, შემდეგ ემიგრაციაში. მისმა პუბლიკისტურმა ნიჭმა მის ახალგაზრდობაშივე მიიქცია ყურადღება ილია ჭავჭავაძესი, რომელმაც შესთავაზა მას გაზეთ „ივერიის“ ხელმძღვანელობა. ნ. უორდანის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაწერები სადაც გარევეულია ქართველი ერის სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხები. მის უძარ კალამს არ ეპარებოდა არც ერთი მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემები.

6. უორდანია ვახტა სიმბოლო და მანათებელი შუქური მებრძოლი ქართველი ერის, ერთგული გუშაგი 26 წაისის. და ამ შარავანდედით მოსილი სახელით შევა ჩვენი ერის გმირულ ისტორიაში, თავისუფალ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე უორდანია.



ბრძოლა თავისუფლებისთვის

1

სახაროვის მანიფესტი.

1969 წელს აკადემიკოსმა სახაროვმა თავის ცენტრილ ბრძოშურას: „ფიქრები პროგრესზე, მშვიდობიან თანაარსებობაზე და ინტელექტუალურ თავისუფლებაზე“ — წინ წარუდგნა გოვთხეს ცნობილი თქმა: „მხოლოდ ის არის ღირსი სიცოცხლისა და თავისუფლებისა, ვინც მისთვის ყოველდღიურად იმჩნევს.“ ეს ლოზუნგი აკადემიკოსმა დროშად გაიხადა და იმ დღიდან, შეუჩერებლად, ამხელს, ამეღანებს საბჭოთა პოლიტიკურ სისტემის უკუდმართობას, მის უსამართლობას, მის რეპრესიულ ხასიათს.

მას, და მის გარშემო მყოფ მცირე, მაგრამ უაღრესად მძლავრ ინტელექტუალურ ძალებს ბრძოლა უზდებათ უმთავრესად, საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში. რომელიც შეთხულია თვით საბჭოთა ხელისუფლების შეირ, და მისი გატარება ცხოვრებაში, იძლევა მნიშვნელოვან გარანტის საზოგადოებრივ — პოლიტიკურ, ნორმალურ ცხოვრებისთვის. კრემლის მართველებმა ყველაზე უკეთ იციან ამ კონსტიტუციის გატარება ძირს ვამოუზრის არსებულ რეჟიმს. პოზიციური მოხერხებულად იუნიტის ამ „ლეგალურ“ საშუალებას და მოითხოვს სიტყვის, პრესის თავისუფლებას, სასამართლოს დამოუკიდებლობას, სოციალურ სამართლიანობისთვის თავისუფალი ბრძოლის საშუალებებს და სხვ. ერთჯელ, უკვე დაწყებულ სისტემის კრიტიკა არ შეწყვეტილა, ის ვითარდება, ღრმავდება, იზიდავს ახალ-ახალ ინტელექტუალურ ძალებს, მათში იღვიძებს უმაღლეს მოვალეობის მექნება, გამოიყენონ ხალხი სულიერ — პოლიტიკურ ტკიცებიდან, რაც მუდამ შეადგენდა შემომქმედთა და სწავლულთა საქმეს.

აღსანიშნავია, დიქტატურის სასტიკ რეპრესიების ქვეყანაში, „აღამიანის უფლებების დამცველ ლიგის“ დაარსება, პოლიტიკურ პატიმართა მიერ სასამართლოში გმირული სიტყვებით თავდაცეა და არა უწინდებურად, არ არსებული „დანაშაულის“ საკუთარ თავზე მიღება.

ე. წ. „დამორატიული მოძრაობისაგან“ გავრცელებული ფურცლები და რაც უმთავრესია ე. წ. „სამიზდავის“ სისტემატიკური ბეჭდვა, ღრმა საზოგადოებრივი მერები,

თავის აქტი

შპატვრულ ლიტერატურულ შემოქმედების ნაკრის, საფუძვლად დაედო იმ ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან რომელთაც შეარყის რეემისაგან გაყინული, შეპოვეილი აზროვნება, ჩაითრის მეცნიერული ძალები, ახალგაზრდა მწერლები, ხშირად, სწორედ ისინი რომლებიც რეემისაგან პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ ჩაუყენებულნი. რასაკირველია ბევრი მათგანი დღეს ან ციმბირის ცივ მხარეში იტანჯებიან, და ზოგნი ფსიხიატრულ საავადმყოფოებში განიცდიან სულიერ წვალებას...

ამ პროგრესულ მოძრაობას საძირკველი ჩაუყარა სახაროვის მანიფესტმა, რომლის დაწერილებით განხილვას აქ ვერ შეუდგებით. მხოლოდ მოვიყვანთ ზოგიერთ საპროგრამო მუხლს.

1) თითეულ ერს აქვს სრული უფლება გადასწყვიტოს საკუთარი ბედი — თავისუფლად თავის აზრის გამოთქმით. ეს უფლება გარანტირებული უნდა იქნას საერთაშორისო კონტროლით, „ადამიანთა უფლების დეკლარაციის“ თანახმად. საერთაშორისო კონტროლი გვლისხმობს ეკონომიკურ სანქციას და ერთა კავშირის სამხედრო ძალის გამოყენებას — ადამიანთა უფლების დაცვის მიზნით.

2) ყოველგვარი სამხედრო, ეკონომიკური ბატონობის ექსპორტი უდრის ავრესიას და უნდა იქნას უკანონოდ გამოცხადებული.

3) თითეული სახელმწიფო მიისწრაფვის კულტურულ, საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ, იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებული იქნას ერთაშორის დაპირისპირება, ურთიერთშორის დაძაბული მდგომარეობა.

4) საგარეო პოლიტიკა არ უნდა მიისწრაფოდეს სხვა ერებზე პოლიტიკურ გავლენის გასაფართოებლად და გასაბატონებლად...

5) დაუყონებლივ უნდა გაუქმდეს ანტიკონსტიტუციონური კანონები, რომლებიც არღვევენ, ბოჭავენ ადამიანის სამოქალაქო უფლებებს.

6) უნდა გამოცხადდეს საერთო ამნისტია პოლიტიკურად დასჯილთათვის.

7) უნდა გალრმავდეს ეკონომიკური რეფორმები, გაფართოვდეს, ამ მხრივ, სფერო ექსპერიმენტებისა და აქტიურ გამოტანილ იქნას შესაფერი დასკვნები.

სახაროვი თავის ახსნა-განმარტებაში იცავს სიტყვის, აზრის, შემოქმედების თავისუფლებას. სასტიკად აქრიტიკებს არსებულ ვითარებას. ის აღნიშნავს მასიურად: ცალმხრივ აღზრდის შიშის, ეგოისტურ-მეცნიერულ იდეოლოგიის, გაყინულ ოლიგარხიულ, ბიუროკრატიულ დოგმატიზმის და ცენტრის იარაღად გამოყენების დამლუტებელ შედეგებს; ამიტომაც, განაგრძობს აკადემიკოსი, ცველა პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა, დაიცეს თავისუფლება აზროვნობის, ადამიანური უფლების. ეს ამოცანა არა მარტო ჩეულთა საჭმე, არამედ მშრომელ მასების, ფართო წარმატების.

საზოგადოებას ესაშიროება მიიღოს ინფორმაცია, გა-აერცელოს თავისი შეხედულება და აზრი საზოგადოებრივ მოვლენებზე თავისუფლად. აწარმოოს მიუდვიმელი კრიტიკა უკველგვარ ზევიდან დაწოლისა და შევიწროების გარეშე.

ყველაზე საშიშარი მტერია კაცობრიობის, აგრძელებს სახაროვი, რასიზმი, ნაციონალიზმი და მილიტარიზმი, განსაკუთრებით რეეიმი პოლიციური, დემაგოგიური, დიქტატორული მსგავსად ჰიტლერისა და სტალინისა. აკადემიკოსი ვრცლად ეხება და აკრიტიკებს დიქტატორულ მართველობის ძირითად საფუძვლებს.

როგორც უტყუარ ცნობებიდან სჩანს, პროტესტარტული მოძრაობა ფეხს იკიდებს და ლრმავდება.

მართალია ლიბერალური აზროვნების ჩანასას ჯერ-ჯერობით არ აქვს მომავლის კონსტრუქტიული პროგრამა, მაგრამ სხვადასხვა სოციალურ ფენებში დაწყებული საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილი თანამდებობით იძოვის განმანთავისუფლებელ მოძრაობის სწორ და ერთ მოლიან კალაპოტს.

შეუძლებელი არაა, გარდამავალი ხანა იყვეს შძიმე, დრამატიული მოვლენებით სავსე. მაგრამ ისტორიულ აუცილებლობას რუსეთი ვერ ასცდება, საიდანაც გამოვლინდება რუსის ერის ნორმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

თვით რუსის ხალხის მომავალი მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ამ მოძრაობის გამარჯვებას, რაც უსათუოდ აახლოვებს ჩაგრულ ერთა განთავისუფლებას.

2. სოლჩენიცინის გაძევება.

მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო იმ ხელისუფლებიდან / რომელიც დღიდან თავის გაბატონებისა და პატრიონა აღამიანის თავისუფალ შემოქმედებას, მის გონებას, ნიჭისა და ინტელექტუალურ შესაძლებლობას.

ცეცხლითა და მახვილით ჩააყენა გაბატონებულ სახელმწიფო პარატის სამსახურში. / ათეულ წლების მანძილზე მაინც ვერ შესძლო, საესპიტ, მწერალთა დანიშნულების შეზღუდვა და შევიწროება. გამოიწვია ათეულები, გმირულად რომ აღმართეს დროშა თავისუფლების, აღიმალეს ხმა უხეშ ძალების წინააღმდეგ და თავიანთ მხატვრული ნაწარმოებით სასტიკი ვანაჩენი გამოუტანეს საბჭოთა დიქტატურის სისტემას. ამათში პირველი აღილი უჭირავს, დღეს უკვე მსოფლიოში ცნობილ მწერალს სოლჩენიცინს. მისმა შრომებმა, მისდა დაუკითხავად, საიდუმლოდ გადმოლახეს საზღვრები, გადათარგმნილი, გადაბეჭდილი იქნა ევროპიულ ენებზე. მიიპყრო განათლებული კაცობრიობის სამართლიანი ყურადღება.

მისი ღრმა აზროვნებითა და ანალიზით, მწერალი აღიარებული იქნა მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედათ, გათანაბრებული ტოლსტოისთან და დოსტოევსკისთან.

შეშფოთდა მოსკოვის ხელისუფლება . სიმართლის და თავისუფლების შიშმა აიტანა იგი.

მიყრუებულ პროეკტის ჩამწყველულ განაჭამებ მწერლის წინააღმდეგ აამუშავა თავის ერთგული — მწერალთა კავშირის გამგეობა, მწერლის დაუკითხავად, დაუსწრებლად ის გამორიცხული იქნა კავშირიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას ესპონდოდა საარსებო წყარო, ესპობა თავისი შრომების დაბეჭდვა.

ამ სასტიკ და შეუშენარებელ განაჩენისთვის მწერალს თავი არ დაუხრია, პატივება არ უთხვევა, თვითკრიტიკა არ გუვათებია, მას შეხვდა ოლიმპური სიღინჯით და გმირულად შეუტია დაქირავებულ მსჯელებს შემდეგი სიტყვებით: „გრცევენოდეთ საკუთარი შესდების ფეხქვეშ გათელვისათვის, ნუ თუ შეშინდით, ჩემთვის მოგეცათ თუნდაც ათიოდე წუთი სალაპარაკოდ?

տյշեցն սատու մահցենք ծառու, գաճասի՞ց յօդ
 տարդեք դա ջանախատ, հոմ շարժ լիքա և սինատլեա,
 թիզու ու ու կարու հուպա, սուլու մեմեստաց პորութիման,
 տյշեցն մեսպայի շալու տա շամորութեա անմատրոցա, ձաս-
 թիրնայու դա սեպեք ու. նու ու աղար ցողովնու ամունու սա-
 սուրու սայուրու. տյշեցն շալու ոչ ցարլմազու, մաց-
 համ ուրացու, հոմ դա ցագեա ծառու, հուպա տուղու լու
 տյշեցն ան մեմեստաց իշարա թամալու տազու եղամուն-
 թիրա, տյշեցն բոյր ցամունանու ցանահեննեց“.

մյուր ագցոլաս թիշրալու կըլազ շրեց դայուհաց-
 ծու կալմունեցնէս: “ծառու ջամասեսուրու հոմ հիշեն ցո-
 յուտցոնու կալութունաս. ագմանու ցանսեսազցութա լիուզ-
 լուսացն ցնու դա անհունց նու. մաժասաժմյ ալանունեցն
 սնդա ոյցնեն տազուսոյալնու, դա ու ու ու մեմուզու լու
 մեմուսարունանու արուն հիշեն հայսարդեքու պորութազու
 մեցոմարունանու. պայուղմեհուցա դա բարուսենուրու ցաւ-
 նուն սահուցագուցունու հիշեն ցարշեմու մոմեցար մոց-
 լունեցնուսա, արու թմուն մոցալցունու ասրուլցու“...

մացհամ ց ոյու հուպա թիշրալու պրոցոնցունու ու մյու-
 ցու ծու ծու մուսկուցու մուրամուցնու համուսակցունու
 մեմուց ման ցառուրցու տազու մեմումեցունու մուշանու.
 հոմլու մեմունու, սաօդումլու, կըլազ ցալմունանու
 սանցուրեցն դա մուր կըցնուրցունու թուն ցադաշալցու
 սածուու թունունունու, մուս սուսւրեմու սամունելցու.
 յան լուացրեցնու մոլունունու ագմանունու թանչեց-թվա-
 լունու, մուս տերուն արա սիրուալու ալթիրա սամունել
 սուրատու/արամեթ/ տցուուն ցանցունունու, նախունու, ադա-
 մունուն ցունունունունու դա սուլույր սուլրմենու հաթի-
 ցունուն դա ոյնուն լումա ույիշունունու, սուլույր մոմհաս-
 ծու, թանչեցու ամոցունունու.

დա ց լումա ցանցունունու դասակուլու, մոլուն ագա-
 մունուն թանչեց-թվալունունու դարու մեսաբարուլու թունու.—
 ցանց սուդունունունու մանունու, մենունունունու ու սամունելու հյու-
 մունուն հոմելու տազու անու սիշարմանար ուներուսա.

սուլինունունու ար մեսալունունու մոսալունունու, անցարա
 հյութունունու սուսամունունու դա ցանց հուս ուներունունու, թի-
 րուն սուսա ակսեպու սուսամարտունունու թունալունունու.

ծունունու. սուսամարտունունու մուսա նաթարմունունու
 թիւ գուլացինու “թիւ սուսա սածուու հյութունունու նահու-
 ցունունունու նահունու սոսամարտունունու թունալունունու-

ტურ ლიტერატურას მთლიანად იმდენი არ გაუკეთებია სიმართლისა და ჭეშმარიტების აღსაღენად, კიდრე სოლჩენიცინის ნაწარმოებს.

განუსაზღვრელია, ფასდაუდებელია სოლჩენიცინის დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

საბჭოების ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში ადამიანის ტან-ჯვა-წევალება, სულიერი ტკივილები მან მხატვრული სიძლიერით გადმოგვცა და აიყვანა უმაღლეს მწვერვალზე, საიდანაც დაანახვა თაობებს სიბოროტე, მხეცური ინ-სტიქტის გალვიძება, ამავე დროს სიბოროტესთან შებრძო-ლი სულის გამკლავება, მისი ტანჯვაში გამძლეობა.

ციხე, ომი, ავადმყოფობა, ლაგერი, მონური შრომა —აი, უმთავრესი თემა მისი შემოქმედებისა. მისი რომანების გმირები —არ არიან გამოგონილნი, არამედ რეალურ ცხოვრებიდან ამოკრეფილნი, ისინი მოქმედობებს, მოძ-რაობენ, იტანჯებიან, უმკლავდებიან მათ თავზე დატე-ხილ უბედურებას... სოლჩენიცინი შემოქმედების უზენა-ესი დანიშნულებაა.—ზრუნვა ადამიანის ბედზე, სამსა-ხური სიმართლის და ჭეშმარიტებისათვის...

მიუხედავად მისი თავვანწირულების, სოლჩენიცინის შეხედულებანი ზოგიერთ საკითხებზე გაკვირვებას იწ-ვევს და მათ უარყოფს—თვით აკადემიკოსი სახაროვი. სახელდობრ, სადაც სოლჩენიცინი აღიარებს, რომ ავტო-რიტალურმა წყობილებამ შეუნარჩუნა რუსეთის ერს ჯანმთელი ნაციონალური სხეული და სულიო, და ბე-20 საუკუნეებდე მოიყვანა იგიო, რუსეთი არაა მოშადე-ბული დემოკრატიისთვის და არც აუცილებელ საჟიროე-ბას წარმოადგენს.

სახაროვის პასუხი კატეგორიულია: „დემოკრატია ყველა ერისთვის მისაღებია და მისი ეროვნული ცხოვ-რებისათვის სასარგებლო და აუცილებელი... ვიწრო, ნა-ციონალიზმი, იზოლიაცია და პატრიარქიალური — რე-ლიგიური რომანტიზმი მავნებელი და დამღუპველი“.

უსაყვედურებს სოლჩენიცინს, რომ თავის მიმართვაში, კრემლის მართველობის მიმართ მან უგულებელყო არა რუსების მდგომარეობათ.

ჩვენის მხრით დაუმატებთ, რომ ასეთი დიდი პუმა-ნისტის, ვიწრო ნაციონალისტურ-რუსოფილური აზრე-ბი მისთვის შეუფერებელია.

კრემლი არც ცდილა გაებათილებია ნაწარმოებში
 მოყვანილი ბრალდებები, გარდა იმისა რომ აღიარა,—
 ეს იყო წინად, ყველაფერი გამოსწორებულიათ. მაგ-
 რამ, თუ ეს მართალია რაღა აღშფოთებს კრემლს?

თუ სტალინიზმი არ გრძელდება თუნდაც სხვა გზით
 და ფორმით, რომლის მსხვერპლი დღესაც მიღიონზე მე-
 ტი უდანაშაულო აღამიანია, მაშინ, რატომ უნდა დაისა-
 ჯოს მწერალი, რომელმაც ამხილა აღწერა უტყუარი
 ფაქტებით რეპრესიული რეეიმის საშინელება?

პირიქით, საბჭოთა დექტატურაში მიიღო უკიდურესი
 ზომა,—მწერლის ლრმა სურეილის წინააღმდევ იგი მოს-
 ტაცა სამშობლოს და გადაასახლა უცხოეთში. კრემლის
 სამარცხვინოზ, მთელი განათლებული კაცობრიობა სას-
 ტიკი პროტესტით შეხვდა ამ ვერაწყლ აქტს და დაპგმო
 იგი. თითქმის ყველა სახელმწიფოს მეთაურებმა მოი-
 სურვეს სოლჩენიცინის მოპატიუება თავის ქვეყანაში.

ხოლო საერთო პროტესტს შეუერთდა არა მარტო სო-
 ციალისტები, რაც ნორმალურია, არამედ თითქმის ყველა
 კომუნისტური პარტიები.

ა. ბადრიძე.

დაკარობილი ერების პოლიტიკური პოტენციალი

რას წარმოადგენენ დაპყრობილი ერები დღეს და რას
 წარმოადგენდენ ისინი ისტორიაში?

დღეს დაპყრობილი ერები წარმოადგენენ ერთ მთლი-
 ან წყებას, (ერთ მთლიან კატეგორიას), რომელიც იბრ-
 ძეის ერთ და იმავე მიზნისათვის — განთავისუფლები-
 სათვის უცხო ერის ბატონობიდგან. ვინაიდან, ყველანი
 დაპყრობილნი არიან ერთ და იმავე ერის მიერ და
 ებრძევან ერთდამავე ოკუპანტს, ყოველი მათი პოლი-
 ტიკური მოქმედება და ბრძოლა თავისთავად ერთდროუ-
 ლად ხდება და ამ მოქმედებათა კოორდინაციას ახდენს
 თვით ბუნება პოლიტიკური უჰარებისა.

გეოგრაფიულად ამ ერებს უკავიათ ერთი მთლიანი
 სივრცე. ეს სივრცე იწყება თეთრი ზღვის ნაპირებიდან,

ქოსდევი, ბალტიის ზღვის, შიდის შავ ზღვამდე და შავ ზღვის ნაპირებიდან, გადადის კასპის ზღვამდე. კასპის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირიდან ამ ერების სივრცე სწოდება ურალის მთებს და მდინარე ვოლგის შუა სიგრძეს.

აღნიშნული სივრცე წარმოადგენს ერთ მთლიან განუყოფელ ზოლს. ეს ზოლი, როგორც გარდამავალი შუალედი, იმყოფება ორ დიდ ბუმბერაზიულ და ძირითადათ განსხვავებულ ყველებს შუა — აღმოსავლეთის და დასავლეთის შუა. ამ შუალედ სივრცეზედ, ხედებოდნენ ერთმანეთს აღმოსავლეთის და დასავლეთის ცხოვრებათა ყოველგვარი განსახიერებანი. ამ სიერცეზედ მდგბარეობდნენ ბევრი ე. წ. გეოგრაფიული „ხიდები“ „კარები“ და „გადასავლები“. აქ ხედებოდნენ ერთმანეთს დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურა, ცივილიზაცია და ხელოვნების ყველა დარგი სამხედრო ხელოვნებასთან ერთად, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ანსახიერებდა დასავლეთის და აღმოსავლეთის თავისებურებას. ამ სიერცეზე მცხოვრები ერები კარგად იცნობდნენ ამ ორივე შხარის შეზობლებს, როგორც აღმოსავლეთიდან ისე დასავლეთიდან.

დასავლეთს და აღმოსავლეთს რომ შეძლება ყოთ შშეიდობიანი თანაარსებობა და თანაგანვითარება, ისაშინ ამ შუალედში მყოფ ერების სივრცე იქნებოდა გამართებელი ხიდი ამ ორ კულტურისა და ამ ორ მსოფლიოსი. ეს იქნებოდა ბედნიერება მთელ კაცობრიობისთვის და განსაკუთრებით, მათ შუაში მცხოვრებ ერებისათვის. საუბედუროთ, როგორც დასავლეთს ისე აღმოსავლეთს ამძრავებდა მხოლოდ დაპყრობის იდეა, — ეს გარემოება იწვევდა განუწყვეტილ ბრძოლებს და ომებს. ამ მდინარეობაში აღმოსავლეთ დასავლეთის შუალედი სიერცე შეიქმნა მუდმივი და გაუთავებელი ომების ველად.

ისტორიაში, თავის შევლელობაში, ეს ტრალედია ვაიშეორა დიდის სიზუსტით პირველ და მეორე მსოულიონ მების დროსაც.

ამ ერების ტერიტორია, მუდამ მთავარ ბრძოლის ველს წარმოადგენდა. ეს ხდებოდა ისტორიის ყოველ დიდ მოძრაობის ხანაში. ამ სიერცეზე დასახლებული ერები წარმოადგენდენ მუდამ, საამორტიზაციო ბუფერს აღმოსავლეთის და დასავლეთის მუდმივ მეტო-

ქეობის და ბრძოლის პროცესში. სანამ, ამ ერებს ჰქონდათ ძალა და თავისუფლება, მათ შეჩერეს აღმოსავლეთის ბევრი ისეთი შეტევები, რომელთაც ვერ მიაღწიეს დასავლეთამდის. ისტორიის მსვლელობაში, ამ ეობის არსებობა დასავლეთისათვის მფარველ კედლად იქცა. ამ ერების წინააღმდეგობამ აღმოსავლეთის მიმართ, დასავლეთს მისცა ის მშეიძლიანობა, რომლებმაც შექმნა დასავლეთ ევროპის აღორძინება და დასავლეთის კულტურის და ციფრიზაციის უმაღლესი განვითარება. ეს შუალედი სივრცე ჰქმნიდა ბუნებრივ წონასწორობას აღმოსავლეთის და დასავლეთის შორის.

საუბედუროდ, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ერთნაირად სცდილობდნენ ამ საამორტიზაციო სივრცის დანგრევის და დაპყრობას. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, მთელი ეს ზოლი, თეთრ ზღვიდან კასპის ზღვამდე, დანგრეული და დაპყრობილი ცქმნა. ყველა ის ერები, რომელიც ცხოვრიბდნენ ამ შუალედ ზოლში, დაპყრობილი იქმნენ ან ერთი ან მეორე შხრის მიერ. ამ ერების მთელი კრებული მოჰყვა დღევანდელ დაპყრობილ ერების წყებაში.

რამდენი ხანი გაგრძელდა ეს მდგომარეობა? მხოლოდ
ნახევარი საუკუნე; დაახლოებით 50 — 65 წელი. ეს
იყო მოკლე ხანა ევროპის კოლონიალური იმპერიებისა.
ევროპაში ამ დროს მეფობდა „სახაზინო“ იდეოლოგია:
„რომ ჰატრარა, ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბებული
სახელმწიფოთა ხანა გათავებულია და შეუძლიანთ იარ-
სებონ მხოლოდ დიდ და მრავალ ერებზე დამყაოცებულ
იმპერიებს.“

დღეს ყველამ იცის რითი უპასუხა ისტორიამ ამ „სახაზინო“ პროპაგანდის.

უკვე თავისუფალნი არიან ცენტრალური აფრიკის პატარა ერები, რომელნიც ჯერ კიდევ ტომობრივ საფუძულებელი იყო. მხოლოდ ევროპაში კი არიან დაცურობილი და უფლება აქტილი ერები.

არც ერთი ამ ჯგუფიდან არ შერიგებია თავის გამოწებას. პირველ საშუალებასთანავე ყოველი დაპყრობილი ერი ავტომატიურად გადავიდა ღია აქტიურ განმანთავისუფლებელ ბრძოლაზედ. აქტიურ ბრძოლის საშუალება მიეკათ მათ, ყველას ერთდროულად, პირველი მსოფლიო ომის დასასრულში. ყველამ ერთდროულად დაწყეს ბრძოლა თავის სახელწიფოებრივ უფლებათა იღსადგენად.

მთელ ისტორიის განმავლობაში, ამ ერების ეს ბრძოლა მთლიანად, დასავლეთის მშეიცობიანობის და უჩქრენველყოფის დაცვად იქცა. საინტერესოა, რომ ამ ერებმა თავის ბრძოლით დასავლეთის უფრო მეტი მიანიჭეს, ვიდრე მოიპოვეს თვითონ. ეს მუდამ ასე ხდებოდა ისტორიაში. ბევრი ამ ერებიდან თავის მწარე ბრძოლაში ჰკარგავდა საკუთარ თავისუფლებას, მაგრამ ბრძოლით დასუსტებული აგრესორი ვეღარ აღწევდა დასავლეთს. ეს ისტორიული მოვლენა ამ ერების ცხოვრებაში დიდი სიზუსტით განმეორდა მეოცე საკუნძული.

ამ ერების განმათავისუფლებელ ბრძოლამ, თავის, დასწყისშივე ბევრი ისეთი მოვლენები გამოაჩივია, რომელ თაც დღესაც, დღევანდელ პოლიტიკურ ბრძოლაში დიდი რეალური მნიშვნელობა აქვთ და, რომლებშიც დასავლეთი ჯერ კიდევ ვერ ერკვევა. სახელდობრ:

— ამ ერებმა ბრძოლის პირველ დღეებშივე გამოარკვიეს რომ მათ წითელ მოსკოვის სახით ებრძეის ტერიტორიაზე ბრძოლი, ძევლი მიზნებით და ძველი მეოთხებით.

— დღეს 50 წლის შემდეგ, უმრავლესობამ უკვე იცის, რომ საერთაშორისო ასპარეზზედ წითელი ოუსეთი უცვლელად აწარმოვებს იმავე დამპყრობელ პოლიტიკას; რომელსაც იგი აწარმოვებდა თავის სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბების პირველ დღიდან. ამ ერისთვის კომუნიზმი წარმოადგენს მორიგე საპროპანდო ნილაბს.

— წითელ კრემლის სურვილი იყო, რომ ახლად კანთავისუფლებული ერები დაეპყრო ე.წ. შინაგან გადატრიალების სახით და არა ახალი ოფიციალური ომით. რაც მან ვერ შესძლო, და იარაღით მოუხდა ყოველ ამ ერის ხელმეორედ დაპყრობა.

— ყოველ დაპყრობილ ერს კომუნიზმი მხოლოდ რუ-

სულ ხიშტებით მოახევის თავზედ.

— კომუნიზმი ჰქონება დაპყრობილ ერების წილში იმავე წამში, რომელ წამშიც იქიდან გადიან რუსულ ჯარის უკანასკნელი პატროლები.

ყველა ხსენებული მოვლენები გამორკვეულ იქმნენ 1918—20 წლების გამანთავისუფლებელ ბრძოლის დროს, განმეორდნენ 1945 წლში და მსოფლიომ ახალად იხილა 1956 და 1968 წლებში.

დღეს ყველა ეს ერები დაპყრობილნი არიან ხელშეორედ იმიტომ / რომ თავიანთ გაათორებულ აგრძისულ ლეგვაში, მათ ერთდროულად ეკვეთნენ, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ძალები. ყველაზე მეტი ზიანი ამ ერების თავისუფლებას მიაყენა დასავლეთმა, თავის მოკლემხედველობის, შეუგნებელ პოლიტიკით ამ საერთო უბედურობის ფორმალურ დაგვირგვინებათ და განსახიერებად შეიქმნა 1945 წ. ცნობილი იალტის კონფერენცია, რომელსაც კაცობრიობა მოიგონებს არა ერთხელ, შესაფერისი შეფასებით. ეს არ იყო პირველი მაგალითი, რომ დასავლეთს მოეჭრა ის ტოტი, რომელზედაც თითონვე იჯდა.

რა პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა მსოფლიოში, როგორც საბოლოოში შედეგი დაპყრობისა? დღეს ყოველი ერი, რომელიც მოკლებულია თავისუფლებას ზემობსენებულ სივრცეზე, აღმოჩნდა ერთ და იმავე დამპყრობელის ბატონობის ქვეშ, — ყველანი დაპყრობილნი არიან მოსკოვის იმპერიის მიერ. ამის გამო დასავლეთი ზანზარებს თავის საძირკველში და გარკვეულად გრძნობს — / რომ მისი თავისუფალი არსებობა იმყოფება უშალო ხიფათის წინაშე.

არსებულ მდგომარეობაში, პირველ ხიფათს წარმოადგენს უკანასკნელი კოლონიალური იმპერია ევროპის სივრცეზედ — მოსკოვის იმპერია. ამ იმპერიას არ შეუძლია იარსებოს, თუ იგი შეაჩერებს თავის ეროვნულ ავრესიულ დამპყრობელ პოლიტიკას, როგორც თავის შინაგან ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო სარბიელზედ. ეს იმპერია არსებობს მხოლოდ ამ დაპყრობათა გაქნების ინერციით და თუ ეს დაპყრობის ინერცია შეჩერებული იქმნა, იგი იმწამსვე დაიშლება.

კრემლს საუცხოვოდ ესმის თავის იმპერიის მდგომარე-

ობა და მისი პოლიტიკური აგებულობის თავისებურობა, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკა დგას ძალიან ძველო, მარტივ და პირდაპირ ნიადაგზე. ეს არის ძველი უც-ვლელი ხაზი რუსეთის აგრესიისა, გამოკვეთილი სრულიად ნათლად. კრემლს სურს, რომ დამონაცებულ ერების სამხედრო პოტენციალით დაიპყროს დასავლეთი და შერე დამორჩილებულ დასავლეთის ძალით გაუმჯობე-დეს ჩინეთს და ამ გზით დაამყაროს თავის ჰეგემონია მსოფლიოზედ.

შიუხედავად იმ სინელებისა, რომელსაც განიცდის მოსკოვი თავის შინაგანვითარებაში და საერთაშორისო სარჩიელზედ, იგი მაინც არ იღებს ხელს თავის ეროვნულ ტრადიციულ აგრესის არც ერთ მიზნიდან, იგი მომაკვ-დავის კონკულსით ებლაუჭება რუსეთის ძველ პოლი-ტიკურ ხაზს და კრემლი სრულიად მართალია, ვინაიდან მას კარგად ესმის, რომ ეს ხაზი წარმოადგენს ერ-თადერთ ძალას, რომელიც დროებით მაინც ჯერ კიდევ ასულდგმულებს ამ სუსტად შებლანდულ გიგანტს.

ბოლოს და ბოლოს, ჩა ჩეალურ ძალებზედაა დამყა-რებული რუსი ერის ეს ახირებული პრეტენზიები? ამის გამოსარკვევად არ არის საჭირო არავითარი ფანტაზია და თეორიული გამოკვლევანი. სტორია გვაძლევს ამ საკითხის პასუხს ურყევ და კონკრეტიულ ფაქტების საბით.

1919—20 წლების რუსეთის ლაშქრობამ სრულიად გამოარკვია, რომ რუსეთი მარტო თავის ეროვნული ძალებით, რომლის გამოვანაც შეუძლიან მხოლოდ თა-ვის ეთნოგრაფიული ტერიტორიიდან, ვერასდროს ვერ მისწვდება შუა ევროპას და მით უფრო, დასავლეთ ევ-როპის საზღვრებს. აქედან სრულიად ცხადათ სჩანს, რომ მოსკოვის მთელი აგრესია და მსოფლიოზედ გაბა-ტონების პრეტენზიები დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ დაპყრობილ ერების სამხედრო პოტენციალზე, ე. ი. ამ ერების სტრატეგიულ მნიშვნელობაზედ, მათ ტე-რიტორიის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე, ამ ერების კოცხალ ძალებზედ, რომელნიც თუ დაუჯერებთ ლე-ნინს, ჯერ კიდევ 1917 წელში წარმოადგენდნენ იმპერიის მოსახლეობს 57 პროცენტს.

დაბყრობილ ერების ეს სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი არღვევს დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ წონასწორობას, და შეუძლებელ ჰყოფს მკვიდრ და ხან-გრძლივ ზავის დამყარებას. თუ ეს სამარი პოტენციალი მოხსნილი იქმნა მოსკოვის იმპერიალიზმის სამხედრო მანქანიდან, მაშინ კაცობრიობა შესდგება სრულ განახლების და ხანძლივი დამშვიდების ნიაღავზედ.

დღეს მსოფლიოს დამშვიდების და მის თავისუფალ ნაწილის ყოფნა არ ყოფნის საკითხი დამოკიდებულია რუსეთის მიერ დაბყრობილ ერების განთავისუფლების საკითხზედ. თუ დასავლეთს სურს, რომ შეიჩინოს საკუთარი თავისუფალი არსებობა, დაბყრობილი ერები უნდა განთავისუფლებული იქმნენ რუსეთის ბატონობიდან, იმისდა მიუხედავად, რუსეთის სათავეში იდგება მეფის თუ კომუნისტების მთავრობა.

ნუკლეალურ იარაღის არსენალი, შორსმწდომი რაკეტების რიცხვი, ასტრონაოსნობის სიერცის გამოყენება; ყველაფერი ეს იძლევა, მხოლოდ, დროებით ტაქტიკურ წარმატებას და მორიგე შეტაკების მოვების იმედს. მაგრამ არა ს შემთხვევაში არა ჰქმნიან პირობებს, ჟალთა მკვიდრ წონასწორობისა და ხანგრძლივი ზავის დამყარებისა.

დასავლეთი გრძნობს თავის მდგომარეობის მთელ სიძნელეს და დაეძებს საკუთარ თავისუფლების გადარჩენის საშუალებებს. ამის ძიებაში უფრო და უფრო ხშირად ისმის გაერთიანების რჩევა. რა არის გაერთიანება და ვის და როგორ გაერთიანებას შეუძლიან მოუტანოს მსოფლიოს მისი სანატრელი მშვიდობიანობა?

ვის გაერთიანებას შეუძლიან მოუტანოს მსოფლიოს ძალთა მკვიდრი წონასწორობა? თუ ვიგულისხმებთ მარტო დასავლეთ ევროპის გაერთიანებას — ეს არის მხოლოდ კონტი ევრაზიის კონტინენტისა და ეს იქნება არა გაერთიანება, არამედ მხოლოდ მორიგე კოალიცია ამ სიერცის სახელმწიფოებისა. ასეთი კომბინაციები ბევრი იყო ისტორიის ვითარებაში და ამ კომბინაციებმა ბოლოს და ბოლოს მსოფლიო მიიყვანეს დღევანდელ მდგომარეობამდის.

ვანო ნანუაშვილი.

შეჩილდები გერმანიიდან

1

„ადამიანის უფლაბათა საყოველთაო დეკლარაციის
 წლისთავი.“

„ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და მისი გამოიქმის
 თავისუფლება. ეს უფლება შეიცავს: ადამიანის უფლებას
 დაუბრუკოლებლად გაჰყვეს თავის რწმენას და თავისუფ-
 ლად მოძებნოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაციები
 და იდეები ყოველი საშუალებით სახელმწიფო საზღ-
 ვრების დამოუკიდებლად.“

ასეა ნათქვამი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო
 დეკლარაციაში.“ რომელიც 1948 წლის დეკემბერს მი-
 იღო გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურ-
 მა ასამბლეამ და რომელსაც შემდეგ, ხელი მოაწერა
 საბჭოთა კავშირის მთავრობამაც.

ისმება კითხვა: როგორ ტარდება ეს დებულება კხოვ-
 რებაში? მსოფლიოს ნამდვილი დემოკრატიული მთავ-
 რობები ყოველნაირად უწყობენ ხელს ყოველი ჯურის
 ინფორმაციისა და იდეების თავისუფლად დინებას, რის
 შედეგია ის, რომ საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარიის
 თუ დანიის მოსახლეობას სრული თავისუფლება გააჩინა
 იწამოს ის იდეა, რომელიც ამა თუ იმ პირს სურს; მიი-
 ღოს ინფორმაცია, საიდანაც მას სურს. სახელმწიფო,
 მთავრობა ხელს კი არ უშლის იდეების, ინფორმაციების
 თავისუფალ დინებას, არამედ—პირიქით—ის ხელის უწ-
 ყობს იდეების, ინფორმაციების გაერცელებას სახელმ-
 წიფო საზღვრების მიუხედავად.

შეეხო რა ურთიერთ კავშირების გაფართოებას საბჭო
 თა კავშირსა და საფრანგეთს შორის, საფრანგეთის პრე-
 ზიდენტრმა პომპიდუმ — ბრენენეს მიღებისას ვერსალში, 1971 წლის 26 ოქტომბერს, სხვათა შორის, განაცხადა:

„მე ვისურვები, რომ . . . გამშირდეს შეხვედრები
 ერთმანეთს შორის; იმისათვის, რომ პატივი ვცეთ და გა-
 ვიგოთ ერთმანეთის. პირეელყოველისა საჭიროა ერთმა-
 ნეთის უკეთესად გაცნობა. აი, კერძოდ, რატომ გამოვ-
 თქვამ ადამიანების შორის კონტაქტების გაფართოების
 სურვილს. . .“

1972 წლის 11 ივნისს, საგარეო საქმეთა მინისტრმა
 ვალტერ შელმა კი, განაცხადა:

„ინფორმაციებისა და იდეების გაცვლა, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ერთერთი მთავარი ოქმა კონფერენციისა...“ (ლაპარაკია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე, რომლის მოწვევას ასე დაუინებით მოითხოვს საბჭოთა ხელმძღვანელობა.) იდეებისა და ინფორმაციების გაცვლის გარეშე, ევროპის ხალხებს შორის კონტაქტების გარეშე შეუძლებელია გრძელებადიანი შეთანხმებების მიღწევა.“ — დასძინა შელმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, კომუნისტური ქვეყნების ხელმძღვანელები, და პირადათ ბრეზნევი, სასტიკი წინააღმდეგი არიან ინფორმაციისა და იდეების გაცვლისა.

„ვცდილობთ რა თანაარსებობის პრინციპების განხორციელებას, განაცხადა ბრეზნევმა — ჩვენ ჩვენს თავს გაბარებთ ანგარიშს, რომ წარმატება ამ მნიშვნელოვან საქმეში, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იდელოგიური ბრძოლის შესუსტების შესაძლებლობას. პირიქით, უნდა ვიყოთ იმისთვის მზად, რომ ეს ბრძოლა გაძლიერდება, გახდება უფრო კიდევ მწვავე...“

ანალოგიური აზრი გამოიტქვა მიხეილ სუსლოვმაც საზოგადოება „ცოდნის“ მექქვე ყრილობაზე, 1972 წ. 20 ივნისს:

„ . . . განსაკუთრებით მწვავე ხდება ბრძოლა სწორედ იდეოლოგიების სფეროში, სადაც არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს მშვიდობიანი თანაარსებობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს „შორის“. და ანალოგიურ აზრებს გამოსთხვამენ კომუნისტური ქვეყნების ყველა ხელმძღვანელნი, რა თქმა უნდა, მოსკოვის პარტეილმძღვანელობის ბრძანების შესაბამისად.

ამგვარად, ერთი მხრივ, — ინგლისში, საფრანგეთში თუ დასავლეთ ევროპის სხვა ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოების მოსახლეობას გააჩნია ინფორმაციებისა და იდეების მიღების, რწმენისა და შისი გაერკელების სრული თავისუფლება. ამ ქვეყნებში არსებობს მრავალპარტიული დემოკრატიული სისტემაც რის შედეგად, ქვეყნის შიგნით უზრუნველყოფილია ინფორმაციებისა და იდეების თავისუფალი დინება; და — მეორე მხრივ — კომუნისტური ქვეყნები, საბჭოთა კავშირის მეთაურობით, სადაც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია ჩაეტ-

ნოს მხოლოდამხოლოდ იმ იღეოლოგის და მიიღოს ის ინფორმაცია, რომელსაც აწვდის ხალხს ამ ქვეყნების პარტენტოლობა!

და მიუხედავად იმისა, რომ ბრენდევი და მისი მოხსენები ასე ბევრს ლაპარაკობენ საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვაზე, საერთაშორისო თანამშრობლობაზე — ყველა იდეას, ყველა ინფორმაციის, რომელიც მოსკოვური კომუნიზმის დოგმებში არ ეტევა, — სამკედლო-სასიცოცხლო ბრძოლის უცხადებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც. ამით კი საბჭოთა მთავრობა არღვევს „აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-19 მუხლს, დეკლარაციისა, რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო და დამტკიცა ვაერთოანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ და რომელსაც ხელი მოაწერა თვით საბჭოთა მთავრობამაც. სავალალოა რომ, ჩვენც, ქართველები, საქართველო მოქცეულია მოსკოვის პარტენტოლობაზე-ლობის ბატონობის ამ სფეროში და ჩვენს ქვეყანაშიც, საქართველოშიც აღკვეთილია ინფორმაციებისა და იდეების თავისუფალი დინების შესაძლებლობა.

2

დახურული მაღაზიები.

„მოსკოვში, გრანვის ქუჩაზე დგას ერთი ძველი, რევოლუციაშე აშენებული სახლი, რომელიც განსაკუთრებით არაფრით არ გამოირჩევა. პირველ სართულის ფანჯრები მკრივადაა შეღებილი თეთრად. შესასვლელთან კი არის მოკრძალებული წარწერა: „სამეცნიერო ბიურო“. ეს სახლი ცოცხლდება ნაშუადლევის ხუთი საათის შემდეგ. სახლთან ჩერდებიან შავი ფერის „ვოლგები“ გაჭიმული შოთერებით საჭერაბთან; მანქანებიდან ვაღმოდიან სერიოზული, კარგად ჩატანული ადამიანები და შედიან სახლში. უკან ბრუნდებიან ცოტა ხნის შემდეგ, მოაქვთ დიდი მოცულობის შეხვეული საქონელი, ჯდებიან ისევ პერსონალურ „ვოლგებში“ და მიდიან...“

ალბათ, იყითხავთ, რა არის ამ სახლში?

ამ სახლშია, მრავლიდან ერთი ე. წ. „დახურული ბილაზია“, რომელშიც ადამიანები, რომლებიც განსაზღვრუ-

ლი, ასე ვთქვათ, „თანამდებობის პირებია“, შეღაუსთიან ფასებში ყიდულობენ იმ პროდუქტებს, რომელთა შოვნა შეუძლებელია ჩვეულებრივ მაღაზიებში! და ამვარი მაღაზიები არსებობს არა მარტო მოსკოვში, არამედ თბილისში თუ სხვა ქალაქებში. რომლებშიც „თანამდებობის პირები“ ყოველი სახის პროდუქტს თუ საჭანელს ყიდულობენ იაფად, რომლებიც საბჭოთა კავშირის, და ამით საქართველოს ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის ხელმიუწმონელია!

გავეცანი რა ნორვეგიის ჟურნალისტი ჭეგეს ამ წიგნს გამახსენდა ერთი, თავის დროზე, საქართველოში ყველასათვის კარგათ ცნობილი ფაქტი: როცა 1913 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს პირველ პრეზიდენტად საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ — ნოე უორდანია აირჩია. საქართველოს პრეზიდენტი, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველანებში ეკონომიური სინკელების არაუბობის გამო — კვების პროდუქტებს ლანჩხუთიდან ჯგულობდა მისი მშობლებისაგან; და ნოე უორდანის რედას უთქვაშს: „ვერ წარმომედგინა, რომ ჩემი შვილი საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა და მე კადის ფქვილსაც კი ლანჩხუთიდან გაუგზავნიდიო!“ და არა მარტო ნოე უორდანია, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ყველა წევრი, ყველა პასუხისმგებელი პირი გამსჭვალული იყო იმ შეგნებით, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება უკეთესად ეცხოვრად, ვიდრე ცხოვრობდნენ იმ დროს საქართველოს რიგითი მოქალაქეები. ასეთი მთავრობა, ასეთი წესწყობილება დემოკრატიული ბოლშევიკებმა მონათლეს „ბურჟუაზიულად“, იარაღის ძალით დაიძყრეს და ახლა — 50 წლის შემდეგ ეს, ე. წილებული „თანამდებობის პირები“ თავილებენ ისე იცხოვრონ. როგორც საქართველოს თუ საბჭოთა კავშირის რიგითი მოქალაქეები ცხოვრობდნენ, და ამიტომ შემოიღეს ეს ე. წ. „დახურული მაღაზიების სისტემა“, რომლებშიც მხოლოდ მათთვის იშოვება ყოველი სახის პროდუქტი და საქნელი და ისიც შეღავათიან ფასებში.

ნორვეგიულ უურნალისტთან ერთად, ჩვენც ვაყენებთ კითხვას: ვითომ ეს არის სოციალიზმი?

ინფორმაციის გაცელა - გამოცვლის გამო.

1972 წლის 26 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში“, ბ-ნი ნ. ბეთანიშვილი წერს, რომ უკანასკნელ წლებში გაფართოებულა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს საერთაშორისო კავშირები. წარმოებს პროგრამების გაცელა პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების ტელერადიოსადგურებთან; ჩიმოდიან ამ ქვეყნების უურნალისტები საქართველოში, იღებენ ტელეფილმებს, ამზადებენ გადაცემებს საქართველოს შესახებ და სხვ. ეს, უდაოა, დიდი მისასალმებელი საქმეა.

მაგრამ, რატომაა დღემდე ამგვარი ტელე—რადიოკავშირები, როგორც ამას ნ. ბეთანიშვილი ამბობს, „მიმდე სოციალისტური ქვეყნებით“ შემოფარგლული? ამგვარი ტელეგადაცემებისა და რადიოგადაცემების გაცელა-გამოცვლა რატომ უნდა ჩიიყეროს მხოლოდ კომუნისტურ ქვეყნებში? მაგალითად, პოლონეთის ტელევიზია, უკვე დიდი ხანია განშორდა კომუნისტური ქვეყნების საქართველოს და აწყობს „პოლონეური კულტურის კვირეულს“ ევროპისა და მსოფლიოს სხვა კონტინენტების ტელესადგურებში. და „პოლონეური კულტურის კვირეული“ ისეთი პოპულარული გადაცემა გახდა, მაგალითად, საფრანგეთის ტელემაყურებლებში, რომ ზოგიერთი გადაცემები გაიმორეს კიდეც. და აქ კვებადება კითხვა: რატომ არ ამყარებს საქართველოს ტელევიზია და რადიოპირდაბირ კავშირებს არაკომუნისტურ ქვეყნებთანაც?

გვინდა დავიჯვეროთ, ამ მიმართულებით გადადგამ სათანადო ნაბიჯს საერთაშორისო ტელეკავშირების მთავარი რედაქტორი ბ-ნი ნ. ბეთანიშვილი და ისიც გვინდა დავიჯვეროთ, რომ ევროპის თუ ამერიკის დემოკრატიული ქვეყნების ტელესადგურები მიესალმებიან ტელე და რადიოპროგრამათა ამგვარ გაცელას. რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად ვიცით რომ საქართველოს ტელე — თუ რადიო გადაცემა, ცოტად თუ ბევრად, „შეღებილია“ „საბჭოურად“, ე. ი. საქართველოს, ჩვენი ერის ნამდვილ მისწრაფებებს არ ემთხვევა. მაგრამ, ისიც კარგი საქმეა

გავაგებინოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ საქართველო რუსეთი არ არის და ქართველები რუსები არ არიან! და ამ მიმართულებით დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ტელეპროგრამების საერთაშორისო გაცვლა-გამცვლას.

კ. ინახარიძე.

მცხოვის გასაჭირო

სურვილი ევროპის გაერთიანებისა ძველთა ძველია, ის ჩაც დღეს ჩენენ თვალწინ მიმდინარეობს, არა ერთჯერ წამოჭრილა სხვადასხვა ისტორიულ ხანაში. სავარეო საფრთხე, თუ შიდა ეკონომიკური და ტერიტორიალური მოწყობის საჭიროება, იწვევდა სახელმწიფო მოლვაზეთა და პოლიტიკურ ჯგუფთა ცდებს, ევროპის ქვეყნების ფედერაციის თუ კონფედერაციის საფუძველზე მოსაწყობადმე-15 თუ მე-16 საუკუნეებში თურქების შემოსევის საფრთხეზ, გაერთიანების არა ერთი პროექტი წარმოშვა. საქმარისია გავიხსენოთ, თურქებისაგან ჰუნგრეთის დაპყრობის შემდეგ, ბოჭემის მეფის 26 მუხლისაგან შემდგარი პროექტი. მე-19 საუკუნეში სან-სიმონის კაპიტალური შრომა. სან-სიმონისტების პროექტი ევროპის კონფედერაციის შესახებ. მეორე რესპუბლიკის ხანაში, ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი მანიუსტი, მისი მხურვალე მოწოდება ევროპის გასაერთიანებლად. უკანასკნელ დიდი ომის შემდეგ ფრანგ სოციალისტების ლიდერმა ლეონ ბლუმმა გამოაქვეყნა ფრიად დასაბუთებული წერილები — ევროპის ფედერაციის შესახებ. ხებ და სხვ.

სამუშაოოდ, მე-19 საუკუნის ცდებს პრაქტიკული ნაყოფი არ გამოუღია. საჭირო იყო 1914 წლის ომი და მისგან გამოწვეულ ქვეყნების განადგურება, რომ ვაერთიანებაზე ზრუნვა კვლავ განახლებულიყო.

ერთა ლიგის ფარგლებში დაარსდა ევროპის ეკონომიკური საბჭო, რაიონული კავშირები, რომლებმაც სული დალიეს და ცხადია, რამე სახელმწიფოებრივ, პალი-ტიკურ გაერთიანების საქმეს წარმატება არ უხილავს..

შეორე დიდი ომის შედეგებმა, გამარჯვებულია შორის რუსეთის შემოქრამ, შექმნა სრულიად ახალი პირობები, რაც ევროპის გაერთიანებას წინ ელობება, და უქმნის მას მძიმე, განსაკუთრებულ მდგომარეობას.

ეს გარემოება ნათელი გახდება თუ გავიხსენებთ. რომ საბჭოთა რუსეთმა მემკეიდრეობით მიიღო, პეტრე დიდი-საგან დატოვებული ანდერძი შესასრულებლად, სახელდობრ, გასელა და გამაგრება წყნარ ოკეანეზე, ციმბირის წინ, რაც ნიკოლოზ მეორემ მოშინჯა, მაგრამ დამარცხდა, გზის გადაფერა ატლანტიკის ოკეანესკენ — ბალტიის და ევროპის წინ. ამას თან ერთვის ლენინის ანდერძი, — სოციალ-პოლიტიკური, რაც უნდა გამოიხატოს საბჭოთა რუსეთ — კაპიტალისტურ ქვეყნების დაჯახების აუცილებლობაში, შეურიგებელ იდეოლოგიურ ბრძოლის აუცილებლობაში...

კრემლის ავტოსიული პოლიტიკის გამოაშვარაებამ, რაც გამოიჩატა არა ერთ ხელშეკრულებათა დარღვევაში და ერების დაპყრობაში, შეუძლებელია არ მოჰკოლოდა თავდაცვითი ორგანოს დაარსება ატლანტიკის კავშირის სახით, რამაც გამოიწვია თავის დროზე „წყეულ იმპერიალიზმზე“ თავდასხმები. ციცი ომი დაიწყო და გაშმაგებული ტემპით განვითარდა.

ამ დროს სტალინმა თავის ბოროტი სული საიქიოს ჩააბარა. საბჭოთა შინაური, უმთავრესად, ეკონომიკური კრიზისების სიხანგრძლივე და გარმავება მოითხოვდა დასავლეთზე თავდასხმის შენელებას, რამაც წარმოშვა, ე. წ. თანაარსებობის თეორიის პრატიკული გატაოების საჭიროება. კრემლის ახალ ბატონებს არ დავიწყებიათ ლენინის დარიგება: „პერმანენტულ ბრძოლაში ხდება შესვენება, სათანადო ფორმის გამონახვა ორ სხვა და სხვა სამყაროს შორის დროებით დაზავება“. გვახსოვს მთლიანოვის მიერ წარმოდგენილი გეგმა ამ ქვეყნად მშვიდობიანობის დასამყარებლად. ამ გეგმის განცხრილებიან აშვარად გამოჩნდა ნამდეილი ზრახვები, რაც ევროპის საზოგადოებრივ ასპარეზზე იქნა გამოტანილი, სახელდობრ: ევროპის კოლექტიური თავდაცვის მოსაშლეულად მოკავშირეთა შორის შეულის ჩამოგდება, ევროპიან ამერიკის განდევნა, გერმანიის იზოლაციაში მოჩდენა, შინი ნეიტრალიზაცია.

თანაარსებობის მოქადაგე გადაშენდა ამ ქვეყნიდან და მისმა მემკვიდრეობ იღო კურსი არა ახალი საგარეო პოლიტიკისა, არამედ, შეიძლება უფრო მოხდენილად ცდილობს გაატაროს საერთაშორისო დაძაბულობის, შენელება და გამოდის მშვიდობიანობის და ხალხთა შორის მეგობრობის მებაირახტედ. ამაზე იტყვიან: „ცხვარი მგლის ქურქშიო“.

ასეთი იყო ბრეჭნევ—ნიქსონის შეხვედრა, რასაც უნდა მოჰყოლოდა, ცივი ომის შეწყვეტა. მოხდა წინააღმდეგი, შოთლიოს საზოგადოებრივ ასარეზზე აზრთა მძაფრი დაპირისპირება უმთავრესად, ევროპის ერთა შორის. აღმართა აჩრდილი იალტის, სადაც გამარჯვებულთა მეთაურობამ გაიყო სფერო გავლენისა.

ვაშინგტონ—მოსკოვის შეთანხმებამ გამოძახილი პერვა ევროპის მოსამზადებელ კონფერენციის ყრილობაზე ჰელსინკიში, სადაც მოსკოვს წარუდგინეს მოთხოვნილებანი: თავისუფალი მიმოსვლა, თავისუფლად აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ინფორმაციის მიწოდების თავისუფლება. მოსკოვის წარმომადგენელმა მოთხოვნები ყრუდჩაატარა. — ამ მხრივ, უნევაშიც რჩება წამოყენებული საკითხები გადაუჭრელი, სხვადასხვა საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემებიც, როგორც არის ახლო აღმოსავლეთის, განიარაღების და სხვ.

ამ დროს ევროპის ქვეყნების ინტერესთა დაპირისპირება, უდიდეს საფრთხეს უმზადებს თვით ამ ქვეყნებს. ევროპიელთ არ აღმოაჩნდათ ერთი მთლიანი პოზიცია, არა მარტო ისეთ მწევავე და მტკიცნეულ საკითხზე, როგორც არის სანავთო პოლიტიკა, არამედ სხვა კარდინალურ საკითხებში.

დასაელექ გერმანია იხედება აღმოსავლეთისკენ, მის სხეულს მეორე ნაწილისაკენ, მას სურს ხელი არ შეუშალოს ევროპამ — დაწყებულ ევროლიუციას ამ მხრივ. ამავე დროს იგი დაკავშირებულია შეერთებულ შტატებთან ეკონომიკურად და ფინანსიურად. ინგლისის საგარეო პოლიტიკა ტრადიციულად ემთხვევა ამერიკისას იტალიის პოზიციას ევროპის ოჯახში განსაზღვრავს ხმელთაშუა ზღვის პრობლემა. რაც შეეხება საფრანგეთს მისმა წარმომადგენელმა მკაფიოდ გამოხატა მისი სურვილი; ევროპა ევროპეული. პოლიტიკურად—ეკო-

ნომიურად, რომელიმე სახელმწიფოს გავლენისაგან სრულიად დამოუკიდებელი.

თუ მივიღებთ მხედველობაში ევროპის გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ვითარებას, — ეს უკანსკნელი პოზიცია უსათუოდ ჩატაროვდება.

ევროპის ცხრა ქვეყნის ეკონომიკური კავშირი, რომლის საძირკველზე უნდა აღმართულიყო პოლიტიკური შენობა, წარმოადგენს დიდ პოტენციალურ ძალას. მისი ტერიტორია შეიცავს 250 მილიონ მცხოვრებთ, ანუ 23 პროცენტით მეტს ვინებ შეერთებული შტატები. ის წარმოადგენს საბჭოთა კავშირთან შედარებით ძლიერ ეკონომიკურ ერთეულს, მისი საგარეო გამორიგებით მეტია ვინებ ამერიკა და იაპონია ერთად შეერთებული. ე. წ. ატლანტიკის სამხედრო კავშირში ევროპას ჰყავს 2.450.000 მხედვარი. საფრანგეთ—ინგლისის თერმონუკლეორული იარაღი საგრძნობ სიძლიერით გამოიყენება.

მიუხედავად ამისა, ევროპის ერთგული მოკავშირის, ამერიკის გარეშე—მისი თავდაცვითი შესაძლებლობა სრულიად განსაზღვრულია, იმ უმთავრეს შეურყევ მიზნების გამო, რომელსაც ისახავს კრემლი, რაც მოკლედ ზევით მოვიხსენით. ამას ემატება, აღმოსავლეთიდან მოწოლილი შიშის აჩრდილი, რომელიც თანდათანობით ღებულობს სერიოზულ ხასიათს. ცენტრალურ ევროპაში ჩინეთის გავლენის შემოჭრამ კიდევ უფრო დააფრთხოება.

ისმება საკითხი, რატომ ასე თავგამოდებით ზრუნავს მოსკოვი—ევროპის ქვეყნების დასაცავად? ამის პასუხი მოგვცა კანცლერ ადენაუერმა, თავის მემუარებში:

„მოსკოვის საგარეო პოლიტიკა მიმართულია ევროპის უშიშროების ორგანოების დასანგრევად“—ო. ე. ი. ატლანტიკის კავშირის დაშლა, ამერიკის ევროპიდან შოკირება...

დასაცავის საზღვარზე საბჭოთა მთავრობას დაბანდებული ჰყავს რამდენიმე ასეული დივიზია, მრავალი სხვადასხვა მოდერნული იარაღით...

ამ დროს ევროპის პოლიტიკური გაერთიანება მხოლოდ გზების და ფორმების ძებნაშია, — უპირველესად კოვლისა, ევროპა—ამერიკის ურთიერთობის გარკვევაში. ამერიკის მჭიდრო თავდაცვითი კავშირმა ჯერ დიდ

ომში იხსნა ეკროპის ცივილიზაცია. ეკროპის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, ამერიკის დიდ დემოკრატიულ სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირს, რასაკვირველია, ერთი პოლიტიკური სახით, ერთი მთლიანი ფრონტით.

გ. სინაურიძე.



ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო

გ რ ე ბ ა დ ა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი სწორადი დეკოლუნიზაციით ხასიათდება. ისეთი დიდი იმპერიები რავგარეთ იყო დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია და პოლანდია, თუმცა არც თუ დიდი ხალხია, — მაინც ერთი მეორეზე ანთავისუფლებენ „მზრუნველობისაგან“ ქვეყნებს აზია-აფრიკის კონტინენტზე.

ამგვარად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პორტუგალიის იზორილებულ ჯიუტობას, დეკოლუნიზაცია ძირითადათ დამთავრდა არა კომუნისტურ სამყაროში. ამ ისტორიული პროცესისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიდი კოლონიური იმპერიების დაშლა და კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ გამოცხადება ძირითადათ უსისხლოდ ჩატარდა. ამხრივ გამონაკლისი იყო მხოლოდ ალ-ჟირი სპეციფიური პირობების გამო. მეორე ომის დამთავრების შემდეგ, დასავლეთის კოლონიური იმპერიის მთავრობები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ კოლონიურ-მა ურთიერთობამ დრო მოქამა და დღეს თუ ხვალ კოლონიური ქვეყნები ეროვნულ სუვერენიბას ძალით მოიპოვებენ თუ მათი მისწარება დამოუკიდებლობისაენ არ დაგვირვეინდებოდა მოლაპარაკებითა და შეთანხმებით. კოლონიურმა იმპერიებმა, თან ნათლად განსჭვრიტეს რომ კოლონიური ურთიერთობა ქვეყნებს შორის, ე. ი. ერთის მეორეზე ბატონობა. სხვა, რალაც ახალი ურთიერთობით — თავისუფალი ქვეყნების, დამოუკიდებელი სახელმწი-

ფონების თანაბარუფლებიანი ურთიერთობით უნდა შეცვლილიყო. ასეც მოხდა!

ამგვარად, მეორე ომის დამთავრებისთანავე ზედიზედ აღსდგა ათობით კოლონიური ქვეყნები და მოიპოვეს რა დამოუკიდებლობა, თუმცა მოკრძალებით, მაგრამ თამა-მად შევიდეს თავისუფალ ერთა ოჯახში, როგორც ლირ-სეული და თანასწორნი.

მათ სიტყვას დღეს ყურს უგდებს და ანგარიშს უწევს მთელი მსოფლიო, უძლიერესნიც კი.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მპყრობელისა და პყრობილის განქორწინება ურთიერთგაების გზით წარიმართა: კოლონიურმა სახელმწიფოებმა დეკოლონიზაციისთანავე ეკონომიური, ფინანსიური და ტექნიკური დახმარება შესთავაზენ გუშინდელ კოლონიურ ქვეყნებს, რომლებსაც ამჟამად განვითარებული ქვეყნები ეწოდება.

ამგვარად საერთაშორისო ურთიერთობაში დამყარდა სულ სხვაგვარი, ახლებური დამოკიდებულება — დაუუნებული თანასწორუფლებიანობაზე, მოკლებული შეურსა და მტრობას, დამტკიცებასა და ანგარებას.

ამ ხანებში დასავლეთის ქვეყნების რადიო-სადგურებმა, საერთო ინფორმაციის დასასრულს, გამოაქვეყნეს ერთი ლაკონიური ცნობა, რომელიც იუწიერდა, კიდევ ერთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ეს ქვეყანა გახლავთ ვულკანური წარმოშობის კუნძული გრენადა, რომელიც მდებარეობს კუნტრალურ ამერიკაში, მცირე არქიპელაგში. მისი ფართობი უდრის 344-ს კვადრატიულ კილომეტრს, მოსახლეობა 110.000 სულს. მისი დედა-ქალაქია სენტ-ეკორეესი—20.000 მც. ამ ახალი სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობა ზანგებია, სარწმუნოება კათოლიკური.

ეს პატარა კუნძული, რომლის აღმოჩენა დიდი მოვზაურის ქრისტეფორე კოლუმბის სახელს მიეწერება, ჯერ ესპანეთის სამფლობელო გახდა, შემდეგ ფრანგებმა იგდეს ხელთ, დაბოლოს იქ ინგლისელები გაბატონდნენ.

ამგვარად, მსოფლიო რუკაზე აღმოცენდა კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რიგით 28-ე, ამერიკის კონტინენტზე, და 150-ე მსოფლიოში, რომელიც ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობითა და ბუნებრივ რე-

სურსებით უმნიშვნელო ქვეყანაა და რომელიც, ამავე დროს, მაპატიონ გრენადელებმა, ვერ დაიტრაბახებს ვერც დიდი ცივილზაციით, ვერც სახელმწიფო პოლიტიკური გამოცდილებით და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნულობით. თვით ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ვერჩენებს ნათლად — თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის მება-სურვილს დასავლეთის სამყარო, როცა საქმე ნაკიონალურ დამოუკიდებლობას ეხება, და რა უსუსურად გამოიყურება ჩვენი ქვეყნის პარტიული პროპაგანდა, როცა იგი ასე უსირცხვილოდ გაიძახის დასავლეთურ კოლონიალიზმსა და იმპერიალიზმზე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოურ სამყაროში? მართალია მსოფლიო რუკებზე აღნიშნულია მდიდარი ისტორიის, ცივილიზაციის, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და სახელმწიფო გამოცდილების მქონე ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა ე. წ. „მოკავშირე რესპუბლიკები“, მაგრამ აღნიშნული არიან არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, არამედ როგორც პერიფერიები საბჭოთა კავშირისა, რომელსაც უცხოეთში, უბრალოდ, რუსეთს უწოდებენ.

დღეს მსოფლიოში არის ერთადერთი იმპერიალისტური სახელმწიფო საბჭოთა კავშირის სახელით, რომლის ფარგლებში ძალით, მხოლოდ ძალით, გმინას მრავალი ერი დიდი სახელმწიფო გამოცდილებისა, ღირსი დამოუკიდებლობისა, რომელიც ეწევა მძიმე კოლონიურ ულელს. მაგრამ როდემდის?! .

დ. ურატაძე.

გამოვიდა კავკასიონ.ნო“-ის მე-16-17 ნომერი ე-თაც.
 ისე, როგორც ყოველთვის ეს ნომერიც ფრიად შინაარსიანია. შიგ მოცემულია ნიმუშები ქართულ პოეზიდან, პროზიდან, სალიტერატურო კრიტიკიდან, ისტორიული ნარკვევი, მოვონებები და სხვ. ჩვენი ცნობილი რესთაველოლოგის ბ-ნ გ. ნოზაძის მადლიანი კალამი არ ივიწყებს ქართულ საჭირობოროტო საკითხის არც ერთ დარგს არ ივიწყებს არც ერთ გარდაცვლილ მამულიშვილთა ხსოვნას.

დიახაც „კავკასიონი“-ს გამოსვლა არ უნდა შესწყდეს!

2021 წლის 1 კვირის შევარდნაძის ფულობა

(გ ა კ ვ რ ი თ)

მოგვიანებით, მაგრამ, მოსკოვისაგან მირონცხებულმა შევარდნაძემ, მაინც გადმოგვხედა თავის მაღლიანი თვალით. აი მისი სიტყვებიც:

„ამ ბოლო დროს ზოგიერთი საზოგადოებათ უდინე მეცნიერი, ვითომდა ისტორიული ობიექტივობის აღდგენის მიზნით, იჩენს პოლიტიკურად მავნე ტენდეციას, რომელიც იმით გამოიხატება, რომ სწორ პარტიულ შეფასებას არ აძლევს მენტევიების ლიდერისა და პირტავარდნილი ნაციონალ-შოვინისტის, საბჭოთა საქართველოს დაუძინებელ მტრის ნ, უორდანიასა და სტათა საქმიანობას. ზოგიერთი მადგანი ფრიად საეჭვიადაც კი განმარტავს ისეთ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, რომლებმაც უაღრესად დიდი რილი შეასრულეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორიც არის რუსეთთან შეერთება.“ მოსკოვის სხვა ერთგულნიც ასე იქცეოდნენ, შეგინება, გაბახება, გაწმილება ის პიროვნების, რომელმაც ქართველი ხალხს ერთგულად ემსახურა, მისი უფლება აღადგინა და დაიცვა, აღმართა დროშა დამპყრობელთა წინააღმდეგ. შევარდნაძე უსათუოდ შესცდა.

6. უორდანიაზე თავდასხმით, ქართველის გული ბოლშით აღისება, ხოლო 6. უორდანიას პიროვნება, თუ ეს კიდევ საჭირო იყო, ქართველი ადამიანის ვონებაში გაბრწყინდება, ვითარება სიმბოლო ქართველი ერის წარსულისა და მომავალ თავისუფლების, სუვერენიტეტის, უფლებამოსილობის. 6. უორდანია დაუძინებელი მტერი ყოფილა საბჭოების, დიახ, მაგრამ, — მტერი იმათი, საქართველოში უცხო ჯარებს რომ შემოუძლვენ. ორჯონიქიძის გადიდებაცება და შექება, ქართველი ხალხის მოამაგეთ მისი გამოცხადება, იმ მოლალტის, რომლის პიროვნება სძულო ქართველობას, — შევარდნაძე მას უპირდაპირებს 6. უორდანიას პიროვნებას. აქედან დასკვნას გამართლება დაპყრობის, დასამარტინო დამოუკიდებლობის.

მერე და მართლა მოხდა საქართველოს შეერთება
 საბჭოთა რუსეთთან, თუ შეიარაღებული ძალებით
 დაპყრობა?

ისტორიულ სინამდვილეს, შევარდნაძე, რაგინდ უეხის
 ცერებზე არ შევარდეს, ვერ წაშლის; ქართველი ხალხი
 თავს არ მოიტყუილებს. . .

გადმოგვცემენ, რომ შევარდნაძე მუსრს ავლებს
 ქურდბაცაცებს, მექრთამებს, სპეცულიანტებს.

საბჭოთა საზოგადოება დასწეულებულია სოციალური
 ავი სენით: მერე და ვისი წყალობით, თუ არა თვით მარ-
 თველობის სისტემით?

თუ შევარდნაძე ასეთი ვაჟკაცია აღიმაღლოს ხმა ე. წ.
 წითელ არისტოკრატების „დახურულ მაღაზიების“
 წინააღმდეგ, საიდანაც მისი ჩასუქებული მაღალწოდების
 მხელენი იკვებებიან. მათი შემყურე, მორიგე მოქალა-
 ქე, როგორ დავძრახოთ, რომ სხვადასხვა ხერხით ცდი-
 ლობენ თავის გამოკვებას. (იხ. ამავე ნომერში წერილი
 გერმანიიდან.)

მაგრამ, შევარდნაძე ვერ შესძლებს და არ მოისურ-
 ვებს ხმის ამოღებას, ეს იქნებოდა ძირის გამოთხრა იმ
 დიქტატურულ შენობის, რომელსაც იგი თავს აფარებს.
 შევარდნაძე რომ ორჯონიშვილებული ფიცულობს, ეს გასაგე-
 ბია; არ ყოფილიყო ორჯონიშვილე, მანარაძები, შევარდ-
 ნაძე ვერ გამოძრებოდა სორიდან, და ნ. უორდანის
 გალანძლეას ვერ გაბედავდა.

მედიი ბ-ნი შევარდნაძე შემდეგაც არ მოაკლებს, ყუ-
 რადლებას ქართველი ხალხის ღიღ მოამავროთ და შათი
 ინტერესების დამცველთ. — ამით უფრო ადრე მიიღებს
 ლენინის მედალს.

დანარჩენზე შემდეგ:

პლატონ ლეჭავა.

— ცნობად: 130 ეროვნებათა დროშათა შორის. —
 საქართველოს სამფერვოვანი ეროვნული დროშა გამო-
 ფენილია მონლუსონიდან 15 კილომეტრზე, ქ. ღოიგეტ:

03170 DOYET (Allier)

სასაჩიგებლო შრომა.

ჩვენმა თანამემამულებ და მეგობარმა ვანო იანუაშ-ვილმა გამოსცა ინგლისურ ენაზე თავის შრომა. სახელწოდებით: „რა უნდა იცოდეს თითეულ უცხოელმა“.

წიგნი შეიცავს 385 გვერდს, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს : მშეციდობიანობა, ცივი ომი, ბრძოლა ქველკონტინენტისთვის, ძველი კონტინენტის სამხედრო დანამიშვი, მესამე ბანაკი, დაპყრობილი ერები, მეფის რუსეთი, წითელი რუსეთი, რუსეთის აღთქმა, მსოფლიო ტოტალიზმის აჩრდილი, ბრძოლის გელების გაკვეთილი, დაპყრობილ ერების სამხედრო პორტუკიალი, რუსეთის ძლიერების აქტიური და პასიური ელემენტები, რად მოხდა ასე? შეცდომათა ნიაღვარი, ძლიერების უმაღლეს წერტილისაკენ, წინსვლის შებრუნვება.

რუსეთის სამხედრო ძალის ნამდევილი ლირებულება და მშეციდებული მდგრამარეობა მსოფლიოში.

ჩვენი სახელოვანი მხედრის და პოლიტიკური მებრძოლის დაუშრეტელ ენერგიის შეეძლო დაეძლია მრავალი დაბრკოლებანი. საკუთარი ნივთიერი სახსრით გამოეშვა ნაშრომი. რომელიც უსათუოდ იპოვის გამოძახილს და ზელს შეუწყობს საბჭოთა რუსეთის იმპერიაში ჩაჭედილ ერთა განმათავისუფლებელ საქმეს. ჩვენი რედაქცია მხურეალედ ესალმება ბ-ნ ვ. ნანუაშვილის გამოცემას და ავტორს უსურევებს კვლავინდებულად განაგრძოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა ქართველი ერის საკუთილდღეოთ.

**დ. ქიმიკიძის ლექსთა კრებული “ნაცვლებლები
გ უ ლ ი დ ა ნ“**

გამოიდა ჩვენი პოეტის დ. ქიმიკიძის ნაწარმოები ტეკვენივრად გაფორმებულ წიგნათ. ვიმედოვნებთ, რომ ქართული საზოგადოება თანამდებობით და კმაყოფილებით შეხვდება პატრიოტულ ლექსთა კრებულს და შეძენს. მას. შეიცავს 150 გვერდს. შეძენა შეიძლება „ჩ. დ.“ რედაქციაში..

ქართველთა სათვისტომოს წევრთა პრეზა

ა. წ. 28 აპრილს შესდგა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს საანგრიშო კრება. ჩვენი უურნალი უკვე აწყობილი იყო და სამწუხაროდ ვრცელ ანგარიშს ვერ ვათავსებთ. მოხსენება ორი წლის მოღვაწეობის შესახებ გააკეთა სათვისტომოს თავმჯდომარებ ბ-ნ ლ. ზურაბიშვილმა. მოსმენილი იქმნა სარევიზიო კომისიის და მოღვაწის მოხსენება.

კრება ერთხმად მადლობას უხდის თავმჯდომარეს და გამგეობას, და სტოვებს, როგორც თავმჯდომარეს ისე გამგეობის შემადგენლობას ბ. ბ. ბეგიაშვილის და მიხ. გოგიტიძის დამატებით. ბოლოს ლებულობს და დასტურებს წესდების ზოგიერთ მუხლებს.

პარიზის სოც. დემ. ორგანიზაციის

რეზოლუცია

ჩეჭოლუცია, მიღებული საქ. სოც. დამოკრატიულ პარტიის, პარიზის ორგანიზაციის მიერ, 10 თებერვალს 1974 წელს.

მეცნიერულ უურნალ „ბედი ქართლისა“-ში, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოდის, ბ-ნი კალე სალის თავის წერილში საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას გამოხატავს შემდეგ ფრაზაში:

„საქართველო იქნა გასაბჭოებული.“

არ არის ნაჩვენები, რომ გასაბჭოება მოხდა გარეშე ძალების მიერ; ასეთ ფორმულას შეუძლია შეცდაში შეიყვანოს უცხო მკითხველი. უნდა ყოფილიყო განმარტებული, რომ საქართველო იქნა დაპყრობილი რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ.

სოც. - დემ. ორგანიზაციის დიდ შეცდომათ და დანაშაულად მიაჩინა, საქართველოს ეროვნული ტრადიციის ასეთნაირად წარმოდგენა, რაც ემსახურება მოსკოვის საქმეს. ამით აეტორი ემიჯნება პოლიტიკურ ემიგრაციის მოვალეობას.

პარიზის სოც. - დემოკრატიული ორგანიზაცია.

— ს. დ. ორგანიზაციაში. ა. წ. 31 მარტს, პარიზის ს. დ. ორგანიზაციაში, ამხ. ლ. ფალავაძ გააკეთა მოხსენება: „ფიქრები საქართველოში“. მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი ინტერესი. გაიმართა საინტერესო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ ორატორებმა.

†

† მიხეილ ცაგარელი

შოულოდნელი იყო მისი, ჩვენგან სამუდამოდ განშორება. უსათუოდ, ღრმად იმოქმედა მასზე მისი მეუღლის ქ-ნ ელენეს გარდაცვალებამ.

ამ მხრივ, მეგობრები აშკარად ვამჩნევდით მისი გულის მწუხარებას, სულიერ ტკივილებს და ჩვეულებრივად ბუნებით წყნარ ადამიანის ნერვიულობას.

მიხეილი იყო ყველასთან დამოკიდებულებაში ცავაზიანი უწყნარი, იშვიათი სამეცნიერო აღამიანი. ცნობილი იყო მისი ქველმოქმედება, მეუღლესთან ერთად რომ ეწეოდა ქართულ საზოგადოების, თუ კერძოთ გაჭირებულ ქართველის დასახმარებლად. უკანასკნელ ხასებში, მოისურვა და იყიდა სათვისტომოსთვის საბეჭდაცი მანქანა - „ლინო“, რომლის მოვლა-პატრონობა ჩააბარა ჩვენი უურნალის რედაქტორს. ამით მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უანგარიბა და სიყვარული საზოგადო საქმის მიმართ.

ჩვენი უურნალის რედაქტორ თავს იხრის კეთილ აღამიანის ხსოვნის წინაშე.

ბ. მ.

† ანდრო ჩახვიძიაშვილი

ა. წ. 4 აპრილს ქართველ საზოგადოებამ მწუხარებით მიაცილა ლევილის ძმათა სასაფლაოზე მხედარი ანდრო რეხვიაშვილი.

ანდრო იყო საზოგადოებაში დიდად მიღებულ ოჯახის შვილი. იშვიათი რაინდული ხასიათის აღამიანი და კარგი ოფიცერი. მას კარგი განწყობილება ჰქონდა ფრანგულ წრეებში და არა ერთ ქართველს ახსოვს მისი დახმარება.

დასაფლავებას დიდი ქართველობა დაესწრო და გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა პრ. ინწკირველმა.

ამ. დაცით გუაჩიძის გარდაცვალება

სამშობლოს მოწყვეტილი დათიკო ბუაჩიძე 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან სხვის მიწაწყალზე 52 წელი დაჭყო და დღეს მისი სახით ჩვენი ქვეყნის ოკუპანტებმა კიდევ ერთი ქართველი შეიწირა ~~ჟ~~ ჟ.

დათიკო, საკუპაციო რეეიმის დამყარებისთანავე არა-ლეგალურ მუშაობაში ჩაება და იყო დამარსებელთავანი და წევრი სოც. - დემ. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა. სამწუხაროდ, მალე ჩეკამ ამ კომიტეტის სხდო-მას ალყა შემოარტყა და ცველა წევრი დააპატიმრა ასე, რომ სამშობლოს დპყრობის წლისთვზე დათიკო მეტე-ბის ციხეში ზის, სადაც მაშინ საქართველოს ცველა კუთ-ხე იყო წარმოდგენილი მოელი თავისი სასიცოცხლო ძალებით. მისი დაპატიმრებით ჩეკამ ხელთ იგდო სა-ქართველოს მუშათა პროფესიონალური კავშირის ხელ-მძღვანელთაგანიც. მართლაც იგი ამ მოძრაობას პატა-რობიდანვე დაუახლოვდა.

ჯერ ხომ მშობლებმა მას სამოქალაქო სასწავლებელი დაამთავრებინეს, რის შემდეგ ის თბილისში ვადა-დის და ტუავეულობის დამზადებას სწავლობს. მსოფლიო ომის დროსაც კი საშუალება ეძლევა ქარხანაში მუშაო-ბა გააგრძელოს და დაწინაურდეს. აქ იგი უახლოედება მუშათა მოძრაობას და მუშათა ნდობას იმსახურებს. თებერვლის რევოლუციის დღეებში კი, 25 წლის დათიკო უკვე ცნობილია თბილისის მუშებში და, როცა გათავი-სუფლებული მუშათა კავშირი თავის წესებში ჩამოყა-ლიბდა, მას იმ ხელმძღვანელობაში ირჩევს. რომელსაც დიდი ავტორიტეტით ნეტარხსენებული შალვა აბდუშე-ლი თავმჯდომარეობდა.

სწორედ რომ ჩვენში ბოლშევიკური რეეიმი მუშათა ასეთი თავისუფალი ორგანიზაციების აღმოსაფხვერად შემოვიდა და ბუნებრივი იყო დათიკოც. იმ 62 პატრი-ოტთა სიაში შეეტანა, რომლებსაც მოსკოვის ჩეკამ სა-ქართველოდან გაძევება გადაუწყვიტა. ასეთ გადაწყვეტი-ლებას მეტების პოლიტიკურმა პატიმრებმა ბრძოლით უპასუხეს, რაც მრავალი დღე გაგრძელდა. საბოლოოდ, შეიარაღებულმა ჩეკისტებმა, საქნებში უიარაღოთ გა-მაგრებული პატიმრები ხელმეორედ შეიპყრეს და ჩაკე-ტილ ვაგონებით გერმანიაში გადასახლეს.

ემიგრაციაში დათიკო ყველაფერს თავისებურია გულ-მოდენებით ითვალისწინებდა, საკუთარ ჭიუა-გონებასა და გულში ატარებდა და ასეთნაირად მიღებულ ჩრდენას არასოდეს არ ლალატობდა. ამით ის ყველას ნდობას იმსახურებდა.

იგი იყო წევრი იმ ქართველ მუშათა დელეგაციისა, რომელიც სინდიკალიზმის ცნობილ მეთაურს ლეონ უუს ეახლა და გააცნო მას ჩვენში ბოლშევიკებისაგან დანგრეული მუშათა ორგანიზაციები.

მის კალაშს ეკუთვნის საფრანგეთში 1936 წლის სო-ციალურ მოძრაობასთან დაკავშირებით დაწერილი წერილები. რომლებიც „ბუდას“ ფსევდონიმით „სოციალისტურმა აზრმა“ გამოაქვეყნა.

მისთვის ეროვნული განთავისუფლება მარტო სურვილის საგანი არ იყო, არამედ ისტორიული აუცილებელობაც და, როცა ეს განთავისუფლება ძნელდებოდა და გვიანდებოდა, მისი ჩრდენა მაინც გაუტეხელი რჩებოდა, სხვებსაც ამხნევებდა...

სოციალ - დემოკრატიულ ორგანიზაციაში იგი ყოველთვის ეძებდა და რჩებოდა საღ პოზიციებზე, რომ აქედან უფრო სამართლიანად დაეცვა ინტერესები იმ მუშებისა, რომლების არჩეული წარმომადგენლიც თვითონ იყო და რისთვისაც იგი ოკუპანტებმა სამშობლოდან გამოაძევეს.

დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი აქაური საზოგადოების ერთი ქვეყნობელი ეკლესიის მრევლიც იყო, ის ყველა კვირას, ეკლესიისკენ მიისწრაფოდა და იქ მგალობელთა გუნდში მონაწილეობდა.

ქარხანაში, სამსახურში, ამხანაგობაში, მეზობლობაში იგი იყო და დარჩა ზრდილობიანი და თავაზიანი. მოხუცებას არ იყარებდა — ახალგაზრდათ რჩებოდა, იმედს არ ჰქარგავდა. სხვებს წინ სწევდა, თავისი გამოცდილებით ეხმარებოდა, აიმედებდა, ახალისიებდა. თავის წაქცევაზე ის არ ფიქრობდა. სხვებს ეშველებოდა — ყველასათვის მტკიცე იმედი და კარგი თანამემამულე იყო.

ასე პატიოსნად ვალმოხდილი წავიდა იგი ჩვენგან და დაგვიტოვა საუკეთესო მოვნებები.

დავკარგეთ კარგი ამხანაგი, მეგობარი და კარგი თანამემამულე...

საუკუნო იყოს ხენება მისი.

მ. მელუა.

სვიმონ კვიტაშვილის და მისი მეუღლის გადმოსვენება

ქ-ნ თამარ კვიტაშვილის ასულმა გაღმოასვენა თავისი მშობლები. მამა სვიმონ კვიტაშვილი და დედა მართა,— ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

მოუწილებ სხვებსაც. რომლებსაც ჰყავთ სხვადასხვა
სასაფლაოზე დასაფლავებული მშობლები თუ მეგობრე-
ბი გადმოასცენონ ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ნამეტია გოგუაძისა

გარდაცვალება:

- o. წ. 22 იანვარს ვახტაგზე მაჟავარიანიანი.
 12 იანვარს, ქ-ნი მლევე უშროლი.
 11 მარტს, დავით ბახტაძე.
 15 ოქტომბერს, მიხ. ცებაჩელი
 4 აპრილს, დავით ბუაჩიძე.

დასაფულავებულნი არიან ლევილის ძმათა სასაფულოზე.

სიახლოესის გენერაცია

კარლო ინასარიძე		100 ლარ.
ის. გაუნია	13 დოლარი	63 "
გ. ყიფიანი		50 "
აკ. შავგულიძე		50 "
პრ. ინწურველი		100 "
სოშოს სათვისტომოდგან		150 "
გ. ქვარცხავა		100 "
ს. ჭირაქაძე		10 "
ლ. ლუიშვილი		10 "
ლ. ქიმერიძე		10 "
შალიკო ქურციკიძე		10 "
ილ. ემუხვარი		10 "
ბგ. მაჭავარიანი		10 "
ილ. სალუქვაძე		10 "
ბაგ. ჭავჭავაშვილი		10 "
მიხ. ჭინჭარაძე		10 "
გრ. ბარაშიძე		10 "

მზადდება ღასაბეჭდათ და გამოვა ახლო წარში პ. სარჯ-ველაძის წიგნაკი „სიმარტლეთ აწონილი სიტყვა.“